წლიური მეცამეტე

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტ. და თბ. კომიტეტების და საქ. ცაკის ორგანო

ტელეფონები: რედაქტორის—14—76, რედ. მოადგილის—28—17, სამდივნოსი—10—58, მთ. კანტორის—3—31.

შაბათი 21 ოქტომბერი 1933 წ. № 243 (3799)

# ბამბა

# ოქტომბრის რევოლუციის 16 წლისთავს

## შევხვდეთ ბოლშევიკური გამარჯვებებით ბამბის აღებისა და სახელმწიფოსათვის ჩაბარების ფრონტზე

## ბაქო, აზერბეიჯანის კ. პ. (ბ) ც. კ-ს, აზ. სახკომსაბჭოს; ერევანი, სომხეთის კ. პ. (ბ) ც. კ-ს, სომხ. სახკომსაბჭოს; ტფილისი, საქართველოს კ. პ. (ბ) ც. კ-ს, საქ. სახკომსაბჭოს.

საშემოდგომო თესვის კამპანია პარტიულ და საბჭოთა ორგანიზაციების სუსტი ყურადღების, მუშაობაში თვითდინების, სამეურნეო-პოლიტიკურ კამპანიების ჩატარებაში რიგ-რიგობის პრაქტიკის, თესვის კამპანიის სხვა სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებთან შეხამების უუნარობის შედეგად აშკარად არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს და ქმნის დაწესებულ ვადებში თესვის გეგმების ჩაშლის აშკარა საშიშროებას.

რესპუბლიკებში ათი ოქტომბრისათვის თესვის გეგმა შესრულებულია შემდეგი რაოდენობით: აზერბეიჯანში — 6,2 პროცენტით, სომხეთში — 40,9 პროც., საქართველოში — 24,6 პროც.

ამიერ-კავკასიის სამხარეო კომიტეტი წინადადებას იძლევა: რესპუბლიკათა ცენტრალურმა კომიტეტებმა დაუყოვნებლივ დასახონ თვითეული რაიონისთვის კონკრეტული ღონისძიებანი, რომელნიც უზრუნველყოფენ თესვის დამთავრებას დაწესებულ ვადებში და მოსავლიანობის გადიდების ხაზით დასახულ ყველა აგროღონისძიების გატარებას. ამასთან ერთად განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ თესვის წინა სამუშაოთა (ნიადაგის მომზადება, სათესლე ფონდების გამოყოფა, გაწმენდა, შეწამვლა) ხარისხს, მოაწყონ მუშაობის მსვლელობის გულდასმითი შემოწმება თვითეულ კოლმეურნეობაში, საბჭოთა მეურნეობაში, მოაწყონ კომუნისტების და კომკავშირელების განაწილება გადამწყვეტ უბნებზე, მუშაობის ხარისხის სისტემატიური შემოწმება და სამუშაოს ყოველდღიურად მიღება კოლმეურნეებისაგან, რგოლის მეთაურებისაგან და სხვ.

ამიერ-კავკასიის სამხარეო კომიტეტი კიდევ ერთხელ იძლევა გაფრთხილებას, რომ არ ექნეს ადგილი თესვაში ერთპიროვნულ მეურნეთა როლის მნიშვნელობის არასაკმაოდ შეფასებას. ამიერ-კავკასიის სამხარეო კომიტეტი წინადადებას იძლევა უშუალო მეხვალყურეობა გაუწიონ ჩამორჩენილ რაიონებს, გააჩაღონ მასობრივი ახსნა-განმარტებითი მუშაობა თესვის ამოცანების გარშემო, ყოველგვარად ამხილონ კულაკები და მოაწყონ კულაკობის წინააღმდეგობის დაძლევა.

ამიერ-კავკასიის სამხარეო კომიტეტი წინადადებას იძლევა სისტემატიურად გაშუქებულ იქნას რესპუბლიკურ პრესაში კამპანიის მსვლელობა.

საკ. კ.პ. (ბ) ა.-კ. სამხარეო კომიტეტის მდივანი ბერია.

## შემოდგომა-ზამთრის პარტსწავლების მაღალი ხარისხისათვის

### აზერბეიჯანის კ. პ. (ბ), საქართველოს კ. პ. (ბ), სომხეთის კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტების მდივნებს, საოლქო, საქალაქო და სარაიონო კომიტეტების ყველა მდივანს

ოქტომბრის დასაწყისიდან მხარეში დაიწყო შემოდგომა-ზამთრის პარტიული სწავლება; ჩვენი პარტია მუდამ დიდ მნიშვნელობას აძლევდა მუშაობას პარტიის წევრებისა და კანდიდატების, კომკავშირელების მოწინავე მუშების და საკოლმეურნეო აქტივის მარქსისტულ-ლენინური აღზრდისათვის; „რომ იყოს ნამდვილი მოწინავე რაზმი, ...

... ქსელის საკონტროლო ციფრები და უზრუნველყონ პარტიის ყველა წევრის და კანდიდატის 100 პროცენტით ჩაბმა სწავლებაში.

2. უზრუნველყონ შემოწმებული და იდეოლოგიურად მტკიცე პროპაგანდისტების გულდასმით შერჩევა იმ ანგარიშით, რომ თვითეული პროპაგანდისტი შემოწმებული იქნას კომისიის მიერ პარტიის საქალაქო კომიტეტის ან სარაიონო ...

... ენებზე პარტიული განათლების ქსელისათვის სახელმძღვანელოების გამოცემის ტემპები, იმ ვარაუდით, რომ ეს სახელმძღვანელოები, რომელთა გამოცემაც სასწავლო წლის დასაწყისისათვის დაგვიანდა, დამთავრდეს და ქარხნამდე და სოფლამდე მიყვანილ იქნას 1933 წლის პირველ ნოემბერზე არა უგვიანეს.

8. პარტიის სამხარეო კომიტეტი ...

... სწავლების კონკრეტული გეგმა შემოდგომა-ზამთრის პერიოდისათვის, განიხილონ იგი კომიტეტების ბიუროს და პლენუმების სხდომებზე, დაიყვანონ ადგილებამდე (რაიონებამდე, უჯრედებამდე) პარტსწავლების ...

... ში კომუნისტების ავანგარდული როლის განმტკიცებას.

7. პარტიის სამხარეო კომიტეტი ავალებს რესპუბლიკათა ცენტრალურ კომიტეტებს და პარტგამომცემლობებს გააძლიერონ ეროვნულ ...

... ტიკური ამოცანის წარმატებით შესრულებისათვის საბრძოლველად, რომლებიც ამჟამად მხარის პარტიული ორგანიზაციების წინაშე დგანან.

საკ. კ.პ. (ბ) ა.-კ. სამხარეო კომიტეტის მდივანი ლ. ბერია

## პოლიტგანყოფილების უფროსთან ერთად ბამბის ველებზე

(წნორი, ჩვენი სპეციალური კორესპონდენტისაგან)

იშვიათად ნახავთ წნორის სამ. სატრაქტორო პოლიტგანყოფილების უფროსს თავის სამუშაო ოთახში.

— კოლმეურნეობაშია, საწარმოო უბანშია, ბამბის ველებზეა, საწარმოო თათბირებზეა,—ასეთ პასუხს მიიღებთ წნორის სამ.-სატრაქტორო სადგურში, როცა იკითხავთ პოლიტგანყოფილების უფროსს ამხ. შ. ნამგალაძეს.

გადაწყვეტილი მაქვს ვნახო პოლიტგანყოფილების უფროსი.

16 ოქტომბერს ბევრი ლოდინი არ დამჭირებია. იგი დილით ადრე მოვიდა სამ.-სატრაქტორო სადგურში, მაგრამ სულ ცოტა ხნით.

კოლმეურნეების შეკითხვაზე, რჩევის, დახმარების თხოვნაზე პოლიტგანყოფილების უფროსი იძლევა მოკლე, გასაგებ, ამომწურავ პასუხს. ყველანი კმაყოფილი რჩებიან.

სიღნაღის რაიონის კოლმეურნეობები დამკვრელი ტემპებით აწარმოებენ ბამბის აღებას, მაგრამ მაინც ზედმიწევნით კარგი ამინდების გამო ბამბა მეტად ჩქარა მწიფდება, დროზე უნდა მას აკრეფა ბამბას გაშლილ კოლოფში უნდა მოუსწრო.

დავალება მაქვს ადგილზე შევამოწმო ბამბის აღების მიმდინარეობა. პოლიტგანყოფილების უფროსთან ერთად მივდივარ ქვემო-მაჩხაანის ბამბის ნათესებისაკენ ყარაღაჯში.

იქ, სადაც ნათესები იწყება, წინ მოგვეგება მეველე საბა შანშიაშვილი. მას დავალებული აქვს—დაიცვას ბამბის ნათესები პირუტყვისაგან, თვალყური ადევნოს ბამბის მომწიფებას და ამის შესახებ ყოველდღიურად აცნობოს კოლმეურნეობებს და ერთპიროვნულ მეურნეებს

— ეს ქვემო-მაჩხაანის არტელის ბამბაა გვიჩვენებს მეველე უკვე მომწიფებულ ბამბას.

— რა ზომები მიიღე იმისათვის, რომ ბამბა დროზე აელოთ ვეკითხებით მეველეს.

— გუშინ შევატყობინე ქვემო-მაჩხაანის სასოფლო საბჭოს და არტელსაც. როგორც გავიგე, დღეს მოდიან კოლმეურნეები ბამბის ასაღებად.

ქვემო-მაჩხაანის კოლმეურნეობა „წითელი სხივის“ ბამბის ნათესებში ვართ. კოლმეურნე ქალები მესამე კრეფას აწარმოებენ.

ანა მოსულიშვილი ნელა მუშაობს მას, როგორც ჩანს, არ ეხერხება ბამბის ორივე ხელით კრეფა. იგი ბამბას ცალი ხელით კრეფს და მეორეში აგროვებს. ბამბას კოლოფიდან აძრობს ნაწილ-ნაწილად. მოსულიშვილს ამაში საკმაოდ ბევრი დრო ეხარჯება, ისე მუშაობა საკმაო ნაყოფს არ იძლევა.

პოლიტგანყოფილების უფროსი კოლმეურნე ქალს ურჩევს ისეთი წესით იმუშაოს, რომ მეტი რაოდენობით და უდანაკარგოდ მოკრიფოს ბამბა. სამ.-სატ. სადგურის უფროსი აგრონომი გორგიძე გზადაგზა ასწავლის კოლმეურნეებს ბამბის წესიერად კრეფას.

ბამბას ყველაზე უკეთ კრეფს ოლა შიუკაშვილი. შიუკაშვილი მოხერხებულად და სწრაფად მუშაობს იგი ამაოდ არ კარგავს არც ერთ წუთს. ამიტომაა, რომ გეგმით დაწესებულ ბამბის კრეფის ნორმებს შიუკაშვილი ყოველთვის გადაჭარბებით ასრულებს. 20 კილოს ნაცვლად კრეფს 30 კილომდე.

კოლმეურნეობა „პირველი მაისის“ ბამბის ნაკვეთში ვართ აღნიშნულ კოლმეურნეობას ბამბა ასაღები აქვს 9 ჰექტარზე კრეფას აწარმოებს მესამეჯერ. დღეს სამუშაოდ გამოსულია 9 ქალი, რომელთა შორის მუშაობის სანიმუშო მაგალითს იძლევა ანია ფაშალიშვილი. იგი სისტემატიურად კრეფს დაწესებულ ნორმაზე მეტს, კოლოფში არ სტოვებს ერთ ბეწო ბამბასაც კი.

პოლიტგანყოფილების უფროსს აინტერესებს კოლმეურნეებთან მოსაზღვრედ მდებარე ერთპიროვნული მეურნეების ბამბის ნათესების მდგომარეობაც.

შემოვიარეთ კოლმეურნეობების ნათესები და გადავედით ერთპიროვნულ მეურნეებთან.

— ეს არის ქვემო-მაჩხაანის ერთპიროვნული მეურნის თომა ბენაშვილის ბამბა!— მიგვითითებს მეველე.

ბამბა შემოსულია, თითქმის ყველა კოლოფი გახსნილია, ბენაშვილს კრეფა ორჯერ ჩაუტარებია, მესამე კრეფისათვის, როგორც ჩანს, ჯერ კიდევ თავს არ იწუხებს.

პოლიტგანყოფილების უფროსი აფრთხილებს მეველეს—დაჩქარებით შეატყობინოს ეს მდგომარეობა სასოფლო საბჭოს და ბამბის ნათესის პატრონს

გადავდივართ ერთპიროვნული მეურნის ვასო პაპიაშვილის ნაკვეთში ეს უკანასკნელი ბამბის მესამე კრეფას აწარმოებს. მას თითქმის აღარაფერი არ დარჩენია ბამბის ჩაბარების გეგმის შესრულებამდე.

— გოო, რატომ ყრია ბამბა ძირს! ეკითხება პოლიტგანყოფილების უფროსი ერთპიროვნულ მეურნეს ყატაშვილს.

— როგორ უნდა ავკრიფო ისე, რომ ბამბა ძირს არ დაცვივდეს! იძლევა პასუხს ყატაშვილი და გაკვირვებული მისჩერებია ამხ. ნამგალაძეს.

ეტყობა, აქ ძალიან ნაკლები ყურადღება ექცევა ბამბის დანაკარგებთან ბრძოლას ერთპიროვნულ მეურნეობებში. კულაკები და მათი აგენტები კი თავიანთ საქმეს აკეთებენ, ერთპიროვნულ მეურნეებს გულს უცრუებენ ბამბის მოსავლის უდანაკარგებოდ აღებაზე და ყოველმხრივ ხელს უშლიან მათ მუშაობაში. მაჩხაანის სასოფლო საბჭო და ადგილობრივი პარტუჯრედი სათანადო კონტროლსა და ხელმძღვანელობას არ უწევენ ბამბის აღებას.

ამხ. ნამგალაძემ ზუსტად აღნუსხა შემჩნეული უმსგავსოებანი, ჩაიწერა უპასუხისმგებლობის ცალკე ფაქტები, კონკრეტული დამნაშავეების ვინაობა და იქვე, ადგილზე მიიღო ზომები დანაკარგების აღსაკვეთად და ბამბის აღების დასაჩქარებლად.

პოლიტგანყოფილების უფროსმა მინდორშივე აუხსნა კოლმეურნეებს და მშრომელ ერთპიროვნულ მეურნეებს ბამბის ვადაზე აღების მნიშვნელობა როგორც სახელმწიფოს, ისე თვით მებამბეთათვის,

კოლმეურნეებს და ერთპიროვნულ მეურნეებს თითქო ძალა და ენერგია მოემატათ. პოლიტგანყოფილების უფროსის დახმარებით და რჩევა-დარიგებით გამხნევებულებმა გაათკეცებული ენერგიით გააჩაღეს დამკვრელური მუშაობა ბამბის აღების დაჩქარებლად და დანაკარგების მოსასპობად.

— დღეს მარტო ვმუშაობ, მაგრამ არც თქვენ შეგარცხვენთ და არც ჩემ თავსო, განაცხადა მშრომელმა ერთპიროვნულმა მეურნემ ნიკო მჭედლიშვილმა.— ხვალიდან ჩემს ცოლსაც დავიხმარებ კრეფაზე და არა მგონია ორ დღეში კიდევ რამე დამრჩეს მოუკრეფავიო.

ხვალ კიდევ მოელიან აქ პოლიტგანყოფილების უფროსს. კოლმეურნეები მტკიცე სიტყვას იძლევიან, რომ ისინი პოლიტგანყოფილებას დაუხვდებიან „პირნათლად“, დაუხვდებიან ისე, როგორც შეფერით მოწინავეებს, საკოლმეურნეო მინდვრების დამკვრელებს.

ვ. მთვრალაშვილი.

## ბამბის კრეფა 19 ოქტომბრისათვის

ბამბის კრეფის გეგმის თანახმად, ოქტომბრის დამლევისათვის აკრეფილი და ჩაბარებული უნდა იქნას მთელი მოსავლის 55 პროცენტი. 19 ოქტომბრისათვის ფაქტიურად მოკრეფილი იყო 2.046,7 ცენტნერი, გეგმის 24,7 პროც. აქედან კოლმეურნეობებს მოკრეფილი ქონდა 1030 ცენტნერი 27 პროც. ერთპიროვნულ მეურნეობებს 864,7 ცენტნერი, 22,3 პროც. საბჭოთა მეურნეობებს 152 ცენტნერი—25,4 პროც. ხოლო კულაკურ შეძლებულ მეურნეობებს 42,4 ცენტნერი.

ბამბის კრეფა რაიონების მიხედვით შემდეგ სურათს გვაძლევს:

| რაიონები | ცენტნერებში | %% გეგმის |
|---|---|---|
| ბორჩალოს | 1014,5 | 20,9 |
| ლიუქსემბურგის | 171,8 | 38,3 |
| ყარაიას | 491,3 | 24 |
| სიღნაღის | 239,7 | 43,5 |
| გურჯაანის | 96,9 | 42 |
| საგარეჯოს | 32,5 | 18,4 |

ყარაიას და სიღნაღის რაიონებს 15 ოქტომბრის შემდეგ ცნობები არ გამოუგზავნიათ. გურჯაანის და საგარეჯოს რაიონებიდან უკანასკნელი ცნობები მიღებულია 18 ოქტომბერს.

## ყურადღება „ტურმან-ვაკუუმს“

ჩვენ უკვე გვაქვს ბამბის მექანიკური ამკრეფი—ტურმან ვაკუუმი. ამ მანქანამ, რომელიც ჯერ საკმაოდ ათვისებული კიდევ არ არის დღეში უნდა აკრიფოს 270 ცენტნერი ბამბა.

მიუხედავად იმისა, რომ ბამბის მექანიზებულ კრეფისათვის მზადების შესახებ ადგილებს ჯერ კიდევ მაისში მიეცათ მითითებები, რაიონებს ბამბის კრეფის დაწყებამდე თითქმის არაფერი არ გაუკეთებიათ მექანიზებულ კრეფის მოსამზადებლად. ბორჩალოს რაიონში ტურმან ვაკუუმების აწყობა (ეს მანქანები რაიონში გასულ წელს მიიტანეს) მხოლოდ აგვისტოს უკანასკნელ დღეებში დაიწყეს. 9 მანქანიდან მხოლოდ 4 მანქანა არის აწყობილი, დანარჩენების აუწყობლობას ბორჩალოს სამ.-სატრაქტორო სადგურის დირექცია საჭირო ნაწილების უქონლობით ხსნის. დირექციას თავის დროზე არ შეუმოწმებია ამ მანქანების მდგომარეობა. მაისშივე, რომ გამოერკვია თუ რომელი და რამდენი ნაწილი აკლია, განა არ შეიძლებოდა ამ ნაწილების შეძენა ან დამზადება?

ყარაიას სამ.-სატრაქტორო სადგურის ხელმძღვანელი ამხანაგები ამბობენ, რომ ტურმან ვაკუუმი დღეში მხოლოდ 100-170 კილოგრამ ბამბას კრეფს. ეს ამხანაგები იმას კი არ ცდილობენ, რომ მანქანის მუშაობაში გაუმჯობესება შეიტანონ, გაწაფონ შლანგზე მომუშავეები და სხვა, არამედ მზად არიან უარი განაცხადონ მანქანის გამოყენებაზე. ბამბის მექანიზებულ კრეფის შეუფასებლობა ყოვლად დაუშვებელი და ანტიპარტიული მოვლენაა და იგი ძირიანად უნდა აღმოიფხვრას.

მებამბეობის რაიონების სამ.-სატრაქტორო სადგურების ხელმძღვანელებმა გადაჭრით უნდა გააუმჯობესონ ტურმან-ვაკუუმების გამოყენება და მაქსიმალურად დატვირთონ ეს მანქანები.

## გასაჭირი სასწორთან...

(სიღნაღის რაიონი)

— დაახლოვებით რვა დღის წინად, 803 კილოგრამი ბამბა ჩავაბარე მიმღებ პუნქტს. დღეს ჩასაბარებლად მოვიტანე კიდევ 600 კილოგრამამდე. პირველად ჩაბარებული ბამბის ანგარიში ჯერ კიდევ არ გაუსწორებიათ, ვინ იცის, როდის გამისწორებენ საერთო ანგარიშს—დაღონებული შესჩივლა სოფ. ტიბაანის „8 მარტის“ სახელობის კოლმეურნეობის ქალთა ჯგუფის ხელმძღვანელმა კატო დასმიშვილმა მეზობელ კოლმეურნეობის წევრს.

— ბამბის ჩასაბარებლად დილას აქეთ რიგში ვდგევარ, მოვიტანე ოთხ ფუთამდე. როდის მოვა ჩემი ჯერი არ ვიცი—აცხადებს სოფ. ოზაანის ერთპიროვნული მეურნე გ. გოგოლიშვილი.

— ჩემგან, რომ ბამბა ადრე მიეღოთ, მე დღეს კიდევ მოვასწრებდი 20 კილოგრამამდე ბამბის აკრეფას —განაცხადა ბამბის ტომარაზე ჩამომჯდარმა ნიკო გოგოლაშვილმა.

ეს იყო 17 ოქტომბერს.

წნორის მიმღებ პუნქტში ბამბის ჩამბარებლების ორი რიგი იყო მოწყობილი. ზოგს თავის ტომარაზე ჩამოსძინებოდა, ზოგი კი, მოლოდინში მისჩერებოდა სასწორს.

კოლმეურნეები და ერთპიროვნული მეურნეები, ჩასაბარებლად მოტანილ ბამბის სავსე ტომრებით უცდიდნენ მხოლოდ ერთ მიმღებს და ერთ სასწორს.

ისეთ პუნქტში, სადაც ყოველდღიურად ჩასაბარებლად მოაქვთ 15 ტონამდე ბამბა, მიღებაზე მუშაობს მხოლოდ ერთი სასწორი და ერთი მიმღები—შაქრო ბეჟაშვილი.

მიმღებ პუნქტს აქვს 4 სასწორი, აქედან 17 ოქტომბერს მუშაობდა მხოლოდ ერთი. არა მარტო ამ დღეს, წასულ დღეებშიც ასეთივე მდგომარეობა იყო. პუნქტის გამგე ვ. ნასყიდაშვილი თავს იმართლებს იმით, რომ მათ ერთი მიმღების გარდა, არ ყავთ სხვა გამოცდილი მუშაკი.

მიუხედავათ რამდენიმე მიმართვისა და პირადი თხოვნისა, საქ. ბამბის დამზადების კომიტეტი არ აგზავნის გამოცდილ მიმღებს წნორში. ბამბის დამზადების კომიტეტმა ამ უკანასკნელ დღეებში პუნქტს მიმღების ნაცვლად გამოუგზავნა ექსპედიტორი, რომელიც ბამბის ვაგონებში დატვირთვას და გაგზავნას უხდება.

გარდა ამისა პუნქტს ყავს ორი მოანგარიშე, რომლებიც დროზე ვერ ასწრებენ ბამბის ჩამბარებელთათვის ანგარიშის გასწორებას. ჩამბარებლებს მთელი დღეობით უხდებათ მოცდა ჯერ პუნქტში, ასაწონად და შემდეგ ანგარიშის გასწორებაზე.

ამ არა ნორმალური მდგომარეობის გამოსწორებას „საქ. ბამბის დამზადებამ“ სასწრაფო ყურადღება უნდა მიაქციოს, ოქტომბერში პუნქტს ესაჭიროება უფრო მეტი და მოქნილი შტატი, ვიდრე დღემდე.

13 ოქტომბერს, სოფ. ბოდბისხევის ამხ. ქართველიშვილის სახელობის კოლმეურნეობამ პუნქტში ჩასაბარებლად მოიტანა 900 კილოგრამამდე მოუმწიფებელი და დანაგვიანებული ბამბა კოლმეურნეობისაგან ბამბა მიღებული იქნა მხოლოდ მისი გაშრობის შემდეგ.

სოფ. ბოდბისხევის ერთპიროვნულმა მეურნემ გიორგი ღვინიაშვილმა პუნქტში ჩასაბარებლად მოიტანა 10 კილოგრამამდე დანესტიანებული ბამბა.

ამავე სოფლის კოლმეურნეობა „ნდობამ“ 486 კილოგრამი ბამბა მოიტანა დახეული ბარდანებით, გარდა ამისა ბარდნებს არ ქონდათ თავი წაკრული

—:—

ამჟამად სიღნაღის რაიონში დამკვრელი ტემპებით მიმდინარეობს ბამბის აღება. წნორის მიმღები პუნქტის ცნობით, 16 ოქტომბრისათვის ბამბა ჩაბარებული იყო 2614 ცენტნერის რაოდენობით, რაც შეადგენს წლიური გეგმის 45 პროცენტს, ოქტომბრის — 42 პროცენტით..

ოქტომბერმა უნდა მოგვცეს ბამბის აღება-ჩაბარების წლიური გეგმის 50 პროცენტით შესრულება. ამ დავალებას სიღნაღის რაიონის კოლმეურნეობები და მშრომელი ერთპიროვნული მეურნეობები გადაჭარბებით ასრულებენ.

ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ ბამბის აღების გეგმის რაოდენობრივი მაჩვენებლების შესრულებასთან ერთად განსაკუთრებული ყურადღება მივაქციოთ ხარისხს.

ო. ვ—ლი

## ბამბის აღებას ოქტომბრის დღესასწაულისათვის ამთავრებენ

ყარა-თაპა, 13 ოქტომბერი. მოწინავე კოლმეურნეობათა სოციალისტურმა გამოწვევამ, ბამბის აღებისა და ჩაბარების წლიური გეგმის ოქტომბრის მე-16 წლის თავისათვის შესრულების შესახებ, ყარაიას კოლმეურნეობათა შორის ცოცხალი გამოხმაურება პოვა. პირველი ადგილი ბამბის აღებაში უჭირავს ქესალოს სას. საბჭოს. სოფ. ულიანოვკის კოლმეურნეობა „ისკრას“, რომელმაც სახელმწიფოს უკვე ჩააბარა 140 ცენტნერი ნედლი ბამბა, წლიური გეგმის თითქმის ნახევარი.

ოქტომბრის მე-16 წლისთავისათვის ბამბის აღება-ჩაბარების შესახებ პატაკის მიცემის უფლებისათვის იბრძვიან შემდეგი კოლმეურნეობები: ამხ. ბერიას სახელობის, „წითელი ოქტომბერი“ და „ალორძინება“.

## შევასრულებთ პარტიის დავალებას

### უფრო მეტი ენერგიით ვიბრძოლებთ ნავთის გეგმების განხორციელებისათვის

### საკ. კ. პ. (ბ) ც. კომიტეტს—ამხ. სტალინს

შენ, პარტიის და მსოფლიო პროლეტარიატის ბელადს, მხურვალე ბოლშევიკურ სალამს გიგზავნის ნავთის ბაქოს ჯგუფორგანიზატორების და პარტორგანიზატორების პირველი კონფერენცია

ჩვენ ვიცით, რომ პარტიამ დაგვაკისრა დიდი პასუხსაგები ამოცანა ყოველდღიურად, ყოველსაათობით ჭაბურღილებსა, ვახტებსა და ბრიგადებში ვიყოთ სოციალისტური ყოველდღიურობის ცოცხალი კონკრეტული საქმეების საუკეთესო ორგანიზატორები, ვიყოთ ნავთისათვის, პარტიის გენერალური ხაზისათვის ბრძოლაში მასების პოლიტკურ წინამძღოლები.

ჩვენ დღეს შევიკრიბეთ იმისათვის, რომ ერთმანეთს გაუზიაროთ ჩვენი მუშაობის გამოცდილება, რათა უკეთ დავრაზმოთ მასები ნავთისათვის საბრძოლველად, უკეთ შევიტანოთ პარტიის ლოზუნგები ბაქოს ნავთის მუშების სიღრმეში, სიტყვას გაძლევთ შენ, საკ. კ.პ. (ბ) ლენინურ ცენტრალურ კომიტეტს, რომ შევასრულებთ ჩვენს მოვალეობას ჭაბურღილებსა და ვახტებში მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის გაშლით, უზრუნველვყოფთ პარტიის საბრძოლო დავალებას — წლიური გეგმის დამატებით და ნაოსნობის დახურვამდე მივცემთ სოციალიზმის მშენებელ ქვეყანას ასეულ ათას ტონა ნავთს.

გაუმარჯოს ჩვენს საყვარელ ამხანაგს სტალინს!

### საკ. კ. პ. (ბ) ა-კ. სამხარეო კომიტეტს ამხ. ლ. ბერიას

პარტიის სამხარეო კომიტეტი, რომელმაც წლის დასაწყისიდან ბაქოს ორგანიზაციას ნავთისათვის ბრძოლაში კონკრეტული ამოცანები დაუსახა, ამას არ დაჯერდა. დღითი-დღე აზერბეიჯანის ცენტრალურ კომიტეტთან და ბაქოს კომიტეტთან ერთად, ამიერ-კავკასიის სამხარეო კომიტეტი მუშაობდა ნავთის საკითხებზე, ყოველდღიურ ხელმძღვანელობას გვიწევდა, ეხმარებოდა ბაქოს ორგანიზაციას პარტიის დავალების შესრულებაში.

სარეწაოებსა, ჯგუფებსა, ჭაბურღილებსა და ქარხნებში, ბაქოს კომიტეტის ხელმძღვანელობით, გაჩაღდა მედგარი ბრძოლა ბურღილების ათვისებისათვის, ნავთის ამოღების გადიდებისა, ახალი ტექნიკის დაუფლებისა და მუშათა ფართო მასების სოციალისტური გარდაქმნისათვის. უჯრედებში, პარტჯგუფებმა ახლებურად იწყეს მუშაობა. დეკლარაციების და რეზოლუციების მაგივრად ჩვენი მუშაობის შინაარსად გადაიქცა ზრუნვა თვითეულ ჭაბურღილზე ცოცხალ ადამიანზე.

თვით აგვისტომდე წარმოებდა მუშაობის ეს აქტიური გარდაქმნა. ივლისის დამლევს და აგვისტოს დამდეგს ბაქოს ბოლშევიკების წინაშე ახალი ამოცანა დადგა. პარტიამ და მთავრობამ მოითხოვეს მივაცა ქვეყნისათვის გეგმაზე ზევით ნაოსნობის დასრულებამდე 500 ათასი ტონა ნავთი და აგვეთვისებინა 300 ახალი ჭაბურღილი. კვლავ იკრიბება ბაქოს ბოლშევიკების აქტივი და იხილავს ა.-კ. სამხარეო კომიტეტის, აზერბეიჯანის კ. პ. (ბ) ც. კ-ის და ბაქოს კ.-ის გადაწყვეტილებას ნავთის დარგში ახალი ამოცანების შესახებ. ნავთის გადამწყვეტი რაიონების ხელმძღვანელებად წამოყენებულ იქნენ თვალსაჩინო პარტიული მუშაკები. დაიწყო უდიდესი მუშაობა 300 ჭაბურღილის ათვისებისა, ნავთის ამოღებისა და გაზიდვისათვის.

ნავთისათვის ბრძოლასთან დაკავშირებული მრავალი საკითხის გადასაწყვეტად, ა.-კ. სამხარეო კომიტეტი უშუალოდ ეხმარება ბაქოს ბოლშევიკებს. ა.-კ. სამხარეო კომიტეტის უკანასკნელი გადაწყვეტილებანი გეოლოგიური ძიების, ნავთის გადამამუშავებელი ქარხნების და ხელფასის შესახებ ახალი ხიდიერით გვრაზმავენ პარტიის და მთავრობის დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის საბრძოლველად.

ნავთისათვის ბრძოლის ნამდვილი ცოცხალი საქმე კეთდება ჭაბურღილში, ჯგუფში, ვახტაში. იმაზე, თუ როგორ ვიმუშავებთ ვახტასა, ჭაბურღილსა და ბრიგადაში, დამოკიდებულია გეგმის შესრულება. საჭიროა შრომის შეგნებული დისციპლინა, საჭიროა დავეუფლოთ საქმის ტექნიკას, საჭიროა ჩვენი ბოლშევიკური არსებით გვესმოდეს ამოცანების უდიდესი მნიშვნელობა, რომ ისინი შევასრულოთ.

ა.-კ. სამხარეო კომიტეტის, აზერბეიჯანის კ. პ. (ბ) ც. კ-ის და ბაქოს კ.-ის გადაწყვეტილებანი კიდევ უფრო აძლიერებენ ჩვენს სიფხიზლეს, მოგვაგონებენ, რომ ბრძოლა წარმოებს, რომ გეგმა ჩვენ მიერ ჯერ კიდევ არ არის შესრულებული, რომ კიდევ უკეთ უნდა ვიმუშაოთ. და ჩვენ მთელ ძალღონეს ვიკრებთ, რომ კარგად ვიმუშაოთ, რომ სირცხვილი არ ვჭამოთ“, რომ ჩვენი მოვალეობანი პარტიის წინაშე, ჩვენი საყვარელი ამხანაგის სტალინის წინაშე ღირსეულად შევასრულოთ.

ჩვენ, ჯგუფორგანიზატორებს და პარტორგანიზატორებს, ახლა მშვენივრად გვესმის, რომ ვახტაში, ჭაბურღილში ბრიგადაში ჩვენ ვართ მასების პოლიტიკური წინამძღოლნი. იმაზე, თუ როგორ ვიმუშავებთ ჩვენ, დამოკიდებულია გეგმის შესრულება. სადაც ჯგუფორგანიზატორები კარგია, იქ იქმნება ნავთისათვის, ტექნიკის ათვისებისათვის, ადამიანთა აღზრდისათვის ბრძოლის ახალი ფორმები. ათეული პარტორგანიზატორები, ჯგუფორგანიზატორები უკვე ახლა სანიმუშოდ მუშაობენ. მათ არა აქვთ გარღვევა, ისინი ტექნიკურად მომზადებული არიან. გრიგორიანი, ნაუმოვი, რაგიმოვი, ჰუსეინოვი, ალეკპეროვი, მიწენკო, ტარივერდიევი, პეტროსოვი, სალომინი და ბევრი სხვა ახლა უკვე მასების ნამდვილი წინამძღოლები, პარტიის გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის ბრძოლის ორგანიზატორები არიან. კარგად მომუშავე ძირეული პარტიული რგოლი, კარგად მომუშავე პარტიული ორგანიზატორი ამჟამად ყველაზე მნიშვნელოვანი საქმეა.

ამიტომ, არის, რომ ჩვენ ვაწყობთ გამოცდილების ურთიერთ გაზიარებას, ამიტომ არის, რომ ამ კონფერენციაზე შევიკრიბეთ.

გვესმის რა ჩვენს წინაშე მდგომი ამოცანების მთელი მნიშვნელობა, ჩვენ კიდევ უფრო მეტი ენერგიით, კიდევ უფრო უკეთ, ვიდრე როდისმე, ვიბრძოლებთ ნავთისათვის.

მხურვალე ბოლშევიკური სალამი საკ. კ. პ. (ბ ა.-კ. სამხარეო კომიტეტს მასების ძირეული პოლიტიკური წინამძღოლებისაგან — ნავთიან ბაქოს ჯგუფორგანიზატორების და პარტორგანიზატორების კონფერენციისაგან.

ოქტომბრის 16 წლისთავს, პარტიის მე-17 ყრილობას, ა.-კ. სამხარეო კომიტეტის, აზერბეიჯანის კ. პ. (ბ) ც.-კის და ბაქოს კ-ის უშუალო ხელმძღვანელობით, ბაქოს ბოლშევიკები და ნავთის მუშები შეხვდებიან ახალ წარმატებათა, ახალ გამარჯვებათა პატაკით.

გაუმარჯოს ჩვენს საკ. კ. პ. (ბ) ლენინურ ცენტრალურ კომიტეტს!

გაუმარჯოს უსაყვარლეს ბელადს და მასწავლებელს სტალინს!

ჯგუფორგანიზატორების და პარტორგანიზატორების ბაქოს მეორე საერთო-საქალაქო კონფერენცია.



უზბეკისტანის მთავრობის ახლად აგებული სახლი ტაშკენტში.

## ვოლგის მხარის გერმანელთა ავტონომიური საბჭოთა რესპუბლიკის 15 წლის თავი

### საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მისალმება

საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკებისა) ცენტრალური კომიტეტი ესალმება ვოლგის მხარის გერმანელთა ავტონომიური სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის მუშებს და გლეხებს, კომკავშირელებს, კომუნისტებს და რესპუბლიკის ხელმძღვანელებს ხუთმეტი წლის თავის იუბილეს გამო.

ცარიზმის მიერ დაჩაგრულ პროვინციიდან ვოლგის მხარის გერმანელთა რესპუბლიკა, ლენინური ბოლშევიკური პოლიტიკის შემწეობით გადაიქცა სწრაფად მზარდ საბჭოთა რესპუბლიკად, რომლის სოციალისტური მშენებლობის წარმატებანი წარმოადგენენ მაგალითს მთელი მსოფლიოს მშრომელთათვის და მოუწოდებენ მათ გააჩაღონ ბრძოლა მემამულურ-კულაკურ კაბალისაგან, კაპიტალისტურ ჩაგვრისაგან განთავისუფლებისათვის, ბრძოლა თავისი ცხოვრების კოლმეურნეობრივად, სოციალისტურად შენების უფლების მოპოვებისათვის.

ცენტრალური კომიტეტი მოუწოდებს ვოლგის მხარის გერმანელთა რესპუბლიკის მუშებს და გლეხებს შემდგომი ენერგიული და თავგანწირული მუშაობისაკენ კოლმეურნეობების განსამტკიცებლად და მათი ნამდვილ, ბოლშევიკურ კოლმეურნეობად, ხოლო ყველა კოლმეურნის — შეძლებულ კოლმეურნედ გადასაქცევად, კულაკობის და მისი აგენტურის ნაშთებთან ბრძოლის გასაძლიერებლად.

საკ. კ. პ. (ბ) ც. კ.-ი.

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

# საწარმოო პროგრამის შესრულება ლენინგრადის პროლეტარიატის ღირსების საქმეა

## ამხ. კიროვის სიტყვა ლენინგრადის მანქანათმშენებელი მუშების კონფერენციაზე

ამხანაგებო! თქვენს კონფერენციას მოუწოდება ლენინგრადის მრეწველობის მუშაობის ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხების გადაჭრა. უკვე ჩვენებისა იცის გაზეთებიდან, რომ ამჟამად სახალხო დამტკიცებულია მეოთხე კვარტალის სამუშაო გეგმა, ციფრებს, რომლებიც თქვენ წააკითხეთ განმარტება არ ესაჭიროება.

...

მარაგების სახალხო კომისარიატის ხაზით. 163 მილიონ მანეთს და ბოლოს, ხატყეო მრეწველობის ხაზით თითქმის 77 მილიონ მანეთს.

...

### საქმის ბოლშევიკური ორგანიზაცია წყვეტს ხელმძღვანელობის ხარისხს

აქ არიან ჩვენი მანქანათმშენებელი ქარხნების საკმაოდ პასუხისმგებელი წარმომადგენლები, რომელთაც სავსებით გარკვეული აქვთ ჩვენს წინაშე დასახული ამოცანების მოცულობა. ამასთანავე, მე აქ ხაზგასმით უნდა აღვნიშნო, რომ იმ დანაკლისის საგრძნობი ნაწილი, რომელიც ჩვენ გვაქვს მთელ მრეწველობაში, მოდის მრეწველობის იმ დარგზე, რომლის წარმომადგენლები თქვენ ხართ, ე. ი. სამანქანათმშენებლო მრეწველობაზე. ბუნებრივად იხმება კითხვა: როგორ მოხდა, რომ ლენინგრადში, მანქანათმშენებლობის მთავარ ქალაქში ...

... ბად, რომელიც ჩვენი პროგრამის არასაკმაო შესრულებას ამართლებდეს.

ამჟამად მწვავედ დგას ტრანსპორტის საკითხებიც. რკინისგზის ტრანსპორტის მხრივ ჩვენ საკმაოდ ბევრი დაბრკოლება გვაქვს. მაგრამ აქაც სრული პასუხისმგებლობით შეიძლება ითქვას, რომ თუ დროულად, გეგმიანად ვიზრუნებთ ჩვენი მრეწველობის მომარაგებაზე, ტრანსპორტი თავს გაართმევს ჩვენი მუშაობისათვის საჭირო ნედლეულის გადაზიდვას. სამწუხაროდ, აქაც ხშირად ვერ ვიჩენთ საკმაო ...

...

### რევოლუციურად დავსვათ საკითხი სამუშაო დროის გამოყენების შესახებ

ამხანაგებო, თქვენი კონფერენცია განიხილავს მთელ რიგ საკითხებს, განიხილავს სამუშაო დროის მაქსიმალური მიზანშეწონილობით გამოყენების საკითხსაც. თითქოს ახეთი უბრალო საკითხია — სამუშაო დროის მიზანშეწონილად გამოყენება. მაგრამ რას ვხედავთ? ...

საუზმამდე, გადაწყვიტეს ჩამოეხსნათ სახელოსნოდან საათი (სიცილი). როგორც ხედავთ, ლონისძიება სავსებით „რევოლუციურია“, მაგრამ რა მივიღეთ? თუ წინათ მუშები იწყებდნენ ხელის ბანას საუზმამდე 20 წუთით ადრე, ახლა, როცა ...

...



ამხ. კიროვი

...

### ავამოძრაოთ უდიდესი რეზერვები

ჩვენ ვამბობთ, რომ ჩვენი პროგრამა დაძაბულია. ეს ერთსა და იმავე დროს მართალიც და არც არის მართალი. ჩვენ ხომ უდიდესი რეზერვები მოგვეპოვება. ...

... ეს გამონაკლისი შემთხვევაა? სრულიადაც არა.

როგორ ვიყენებთ ჩვენ ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა დროს? ...

...

რიში მოხსენებაში გაგზავნის შესახებ შემდეგს ამბობს: „საერთოდ მე დავდივარ და ვაკვირდები, ხოლო როცა შევეკითხე, იმათ, ვინც მე გამგზავნა, თუ რა უნდა განმემტკიცებინა საამქროში, მათ მიპასუხეს: განაგრძეთ წარმოებისადმი ჩაკვირვება და შემდეგ ვნახოთ. აი უკვე ერთი თვეა ვაკვირდები და ვაკვირდები და, ბოლოსდაბოლოს, საერთოდ შეიქმნა ისეთი მდგომარეობა, რომ მე მათ ვუცქერი და ვიღიმები, ხოლო ისინი მე მიყურებენ და იღიმებიან“. სწორედ ასე წერს ის. გვონიათ ...

... მუშაობს ჩვენს სოციალისტურ მშენებლობაზე. მე უკვე აღარაფერს ვამბობ მუშათა წრიდან გამოსულ დიდძალ ინჟინერებზე და ტექნიკოსებზე. ისინი ჩვენი სისხლი და ხორცი არიან. ისინი ჩვენ უნდა გამოვიყენოთ, როგორც საჭიროა. ჩვენ ბევრს ვფიქრობთ ამ საკითხზე, გამოგვაქვს დადგენილებები, საინჟინერო-ტექნიკურ პერსონალს კი ვერ ვიყენებთ, როგორც საჭიროა. საჭიროა ნამდვილად, ბოლშევიკურად მოვკიდოთ ხელი ამ საქმეს, რადგან აქ ძალიან დიდი შესაძლებლობები იხსნება.

### საინჟინერო-ტექნიკური პერსონალის შრომის ანაზღაურება

თქვენ იცით, რომ შრომის ანაზღაურების შესახებ ჩვენ ბევრჯერ თავს ვიმტვრევდით, თუ როგორ დაგვეყენებია ის. საინჟინერო-ტექნიკური პერსონალის მიმართ. აშკარაა, რომ მათი შრომა ანაზღაურებულ უნდა იქნას სათანადოდ, როგორც საჭიროა. ეს ყველაფერი სწორია, მაგრამ აქედან არ გამომდინარეობს, რომ ყველას ზითუმად და თანაბრად მივცეთ ამდენი და ამდენი ასეული მანეთი, არამედ უნდა მოვაწყოთ ისე, რომ მივცეთ ამა თუ იმ ქარხნის მუშაობის და ამა თუ იმ ადამიანის შრომის ნაყოფიერების მიხედვით. ალაგ-ალაგ ჩვენ უკვე გვაქვს საინტერესო ცდები ამ მიმართულებით.

### პროლეტარული მასობრივი თვითკრიტიკა წარმოების ორგანიზაციის სამსახურში

ჩვენ მოგვეთხოვება გულისხმიერი, მზრუნველობითი, ბოლშევიკური, პატიოსანი დამოკიდებულება ჩვენი დიადი სააღმშენებლო მუშაობის ყველა, როგორც დიდ, ისე მცირე საკითხისადმი. პროგრამის შესრულებისათვის საჭიროა, რომ არა მარტო დირექტორი, არამედ თვითეული მუშაც გრძნობდეს თავს ქარხნის ბატონ-პატრონად, ჩვენი სოც. საკუთრების პატრონად. როცა სამუშაო დროის წუთები და საათები უაზროდ, უსარგებლოდ გადის, როცა ...

... რა მოგვეთხოვება ამჟამად ჩვენ? მოგვეთხოვება ის, რომ ჩვენ, როგორც იტყვიან, დავნერგოთ ეს ფორმები. რას ვხედავთ სინამდვილეში? ნება მომეცით ვკითხო თვითკრიტიკის წესით — ყველაფერი კეთდება თუ არა ჩვენში იმისათვის, რომ სოც შეჯიბრება ვითარდებოდეს, მტკიცდებოდეს, იზრდებოდეს? ვფიქრობ, რომ ამის თქმა არ შეიძლება. მე მაგალითად, გადაჭარბებით ...

...

## ბარიტის მაღაროებში

### სასწრაფოდ უნდა გატარდეს მექანიზაცია

(საკუთარი კორესპონდენტი საგან)

მას შემდეგ, რაც ჩატარდა ბარიტის მაღაროების დარაიონება და საბჭოთა მეურნეო, პარტიული და პროფესიული ორგანიზაციების მუშაობა საწარმოო პრინციპის მიხედვით გარდაიქმნა, საგრძნობლად გაუმჯობესდა ხელმძღვანელობა მაღაროებისადმი და ძირეული რგოლებისადმი. სამ თვეზე მეტია, რაც რაიონები (ქორეთი, წიფლარი, მექვენა) ...

... რიტი, ფაქტიურად ამოიღეს 364 ტონა, გუგუნეთის მაღაროში 100 ტონა ბარიტის ნაცვლად ამოიღეს 156 ტონა. ეს უკანასკნელი მაღარო ამუშავდა აგვისტოდან.

გეგმის შესრულებაში ჩამორჩა ქორენიშის მაღარო. სექტემბერში აქ უნდა ამოეღოთ 700 ტონა ბარიტი, ფაქტიურად ამოიღეს 586 ტონა, ამის უმთავრესი მიზეზი არის ...

... როში კომპრესორის მუშაობის 4 დღით შეფერხება.

ბარიტის სამმართველომ დღემდე ვერ მოაგვარა ცოცხალი გამწევი ტრანსპორტის შეძენა, ამ მხრივ განსაკუთრებით ცუდი მდგომარეობაა მექვენას რაიონში, მაშინ როდესაც წიფლარის რაიონს, რომელსაც მაღაროებიდან 4—5 კილომეტრის მანძილზე აქვს ...

... დერჩის კოლმეურნეობები, რის გამო ქორენიშის და დერჩის მაღაროებ ...

...

ს. კ. პ. (ბ) ქუთაისის საქალაქო კომიტეტის დადგენილება მაღაროებიდან ბარიტის ჩამოზიდვისათვის მახლობელ კოლმეურნეობების ტრანსპორტის და ჭარბი მუშა-ხელის გამოყენების შესახებ, დღემდე სუსტად სრულდება. ქორენიშის კოლმეურნეობას თავის საშუალებით მაღაროდან ბაქნამდე უნდა ჩამოეზიდა 500 ტონა ბარიტი. ფაქტიურად ჩამოზიდა მხოლოდ 143 ტონა. ასევე იქცევიან სოფ. შკერის, ვანის და ...

... მაღაროებს (ქორენიში, დერჩი) აკლიათ ხელსაწყოები, როგორიცაა წერაქვები პნევმატიური ჩაქუჩები, ვაგონეტები, ფარნები და სხვ. სამმართველო ამ მდგომარეობას ჯეროვან ყურადღებას არ აქცევს. მთავარი, რაც ამჟამად საჭიროა მექვენას რაიონს, ეს არის მექანიზმების შეუფერხებელი მუშაობისათვის რაიონებში სახელოსნო ბაზების შექმნა და საწვავი მასალის შესანახად ბაკების მოწყობა.

### ამხ. ე. დ. სტასოვას 60 წლისთავისათვის

ძვირფასო ელენე დიმიტრის ასულო!

შენი ახლობელი ამხანაგები საერთო არალეგალური მუშაობის მხრივ ტფილისში, სადაც შენ დიდი ენერგია დახარჯე ფოლადისებური ბოლშევიკური პარტიის რევოლუციური რიგების ორგანიზაციის და ამ რიგების ლენინურად აღზრდის საქმეში, გულწრფელი სიხარულით გიგზავნიან მხურვალე ამხანაგურ სალამს შენი დაბადებიდან სამოცი წლის თავზე.

ვმუშაობდით რა შენთან ერთად, ჩვენ ხშირად ვღებულობდით შენგან რევოლუციურ ენერგიის და პროლეტარიატის და მისი მებრძოლი პარტიის საქმისა და ინტერესებისადმი ერთგულების მაგალითს. ჩვენ არ დაგვვიწყებია და არც დავივიწყებთ შენს მებრძოლ ბუნებას, შენს, სიმტკიცეს და სიმამაცეს არალეგალური მუშაობის პირობებში, შენს შეურყევლობას და განუხრელობას ყოველგვარი ოპორტუნიზმის წინააღმდეგ ლენინური ხაზის დაცვაში. ჩვენ დღესაც ვიგონებთ შენს გულისხმიერ დამოკიდებულებას, შენს მგრძნობიარე, მშვენიერ სულს.

ჩვენ უსაზღვროდ ვართ მოხარული, რომ შენს მდიდარ რევოლუციურ გამოცდილებას იყენებ ახლა მთელ მსოფლიოს მშრომელი მასების ბრძოლისათვის ხელის შეწყობის საქმეში, პროლეტარული რევოლუციის მტრების წინააღმდეგ, საერთაშორისო რევოლუციის გამარჯვებისათვის დახმარების საქმეში.

კიდევ მრავალი წლის მანძილზე აქტიური მუშაობა ბოლშევიზმის მსოფლიო პარტიის რიგებში — აი ჩვენი გულყოფილი სურვილი შენდამი.

ს. კასიანი, გ. ყურულაშვილი, ვ. ხაჩატურიანი, ბ. მდივანი, ნ. ნერსესიანი, ჯ. ხუტულაშვილი, ა. კახოიანი.

## რატომ იფლანგება სამუშაო დრო

### (ტფ. ორჯონიკიძის სახელობის ქარხანა)

ლენინგრადის წითელდროშოვანი საწარმოთა პროლეტარების ინიციატივა სამუშაო დროის—420 წუთის სრული დატვირთვის შესახებ „უნდა გახდეს სიგნალი ჩვენი ქვეყნის დანარჩენი საწარმოებისათვის, ძვირფასი სამუშაო დროის უნაყოფოდ ხარჯვასთან ბრძოლის დასაწყებად“ („პრავდა“), სამუშაო დროის სრული ათვისებისათვის, ბრძოლა, ახალი ტექნიკის ათვისებისათვის ბრძოლის ნაწილია ...

კონფერენციისათვის მზადების პროცესში გამოირკვა, რომ ორჯონიკიძის სახელობის ქარხანაში სამქროებში სამუშაო დროის გაფლანგვა ზოგიერთ შემთხვევაში ქარხნის ადმინისტრაციის ცუდი მუშაობის შედეგია. საზეინკლო საამქროში, იმის გამო, რომ ქარხნის მომარაგების განყოფილება არ ზრუნავს ხრახნების, ბაზების, ქლიბების და სხვა მასალის მომარაგებაზე—3 ბრიგადი (ღვინის საპრესი, მანქანა ცენტროფუგი და სხვა) 20 კაცის შემადგენლობით ...

... ვალოს, უგეგმოდ მუშაობა ცუდ გავლენას ახდენს შრომის ნაყოფიერებაზე.

ალსანიშნავია, რომ საამქროები ნახაზების მიუღებლობის გამო ხშირად აცდენენ სამუშაო საათებს. იშვიათია ისეთი საამქრო, რომლის ხელმძღვანელიც არ ჩიოდეს ნახაზების მიუღებლობას და მის შედეგად გამოწვეულ გაცდენებს. ...

...

# გ ე რ ა ნ ი

## ტამიშის (აფხაზეთი) გერანის საბჭოთა მეურნეობა საჭიროებს სასწრაფო დახმარებას

(„კომუნისტი"-ს სპეციალური კორესპონდენტისაგან)

[illegible]

ვის. ფაქტიურად 5 ოქტომბრისათვის აშენებულია 82 სათბური, რომელშიაც ჩარგულია 300.000 სანერგე, ნაცვლად სამი მილიონისა.

1934 წ. მეურნეობაში გერანი უნდა გაშენდეს არა ნაკლებ 72 ჰექტარზე, რისთვისაც საჭიროა დაახლოებით 1.008.000 ცალი ნერგი.

### გერანის გადამამუშავებელი ქარხანა და ტექნიკოსს ორლოვის „პროექტი"

გერანის პირველადი გადამუშავება ე. ი. გერანის ფოთლის უჯრედების გაშლა და ზეთის მიღება ხდება გერანის გადამამუშავებელ ქარხანაში, რომელიც წელს მოეწყო მეურნეობასთან.

24 საათში ქარხანა —ამუშავებს 18 ტონა გერანის ნედლეულს. 1 ტონა ნედლი მასალიდან საშუალოდ ღებულობენ 1,5 კილოგრამ ზეთს.

1 საათი და 50 წუთია საჭირო იმისათვის რომ მწვანე (ნედლი) ფოთლიდან მივიღოთ ზეთი, რომელიც შემდგომი გადამუშავებისათვის იგზავნება მოსკოვის ქარხნებში.

ქარხანას მიმდინარე წელს სახელმწიფოსათვის უნდა მიეცა 2.500 კილოგრამი გერანის ზეთი, მაგრამ ეს გეგმა არ სრულდება ნედლი მასალის უქონლობის გამო.

აღსანიშნავია, რომ ქარხანასთან არ არის მოწყობილი შემკეთებელი სახელოსნო და საწყობი, რის გამო სპილენძის 11 ქვაბი და გამოსახდელი აპარატი ყრია ღია ცის ქვეშ.

ყოველივე ეს იმის შედეგია, რომ ტექნიკოსმა ორლოვმა ქარხნის პროექტის შედგენის დროს არ გაითვალისწინა საწყობის აგება.

ქარხნის დირექტორმა ამხ. კაშირინინოვმა მიმართა ეთერ - ზეთოვანი რესპუბლიკური ტრესტის აფხაზეთის განყოფილებას საწყობის აშენების შესახებ, მაგრამ იქ განუცხადეს:

— საწყობს ვერ ავაშენებთ, რადგან პროექტში არ არის გათვალისწინებული და სახსრები არა გვაქვს.

საინტერესოა რას ფიქრობდნენ ტრესტის ინჟინერები დესლერი და ბურინინოვი როცა ორლოვის „პროექტს ამტკიცებდნენ".

***

რა ამოცანები დგას ამჟამად მეურნეობის პარტიული, სამეურნეო და პროფესიული ორგანიზაციების წინაშე? უპირველესად ყოვლისა, მათ ყოველ მიზეზს გარეშე უნდა უზრუნველყონ მუშა - ხელის ორგანიზებულად შეგროვება და რაც მთავარია — შეუქმნან მუშებს ცხოვრების სამაგალითო პირობები (დააჩქარონ საცხოვრებელი ბინების აგება, გააუმჯობესონ მუშათა მომარაგება, საექიმო მომსახურეობა დააყენონ მკვიდრ ნიადაგზე), მაღალ საფეხურზე აიყვანონ სოცშეჯიბრება და დამკვრელობა და არა სიტყვით, არამედ საქმით გარდაქმნან მეურნეობის მუშაობა ამხ. სტალინის 6 ისტორიული მითითებათა საფუძველზე.

ოჩემჩირის რაიონის პარტიულმა და საბჭოთა ორგანიზაციებმა მეტი კონკრეტულ - ოპერატიული ხელმძღვანელობა და პრაქტიკული დახმარება უნდა გაუწიონ ტამიშის გერანის საბჭოთა მეურნეობას.

თ. კუნჭულია.

[illegible]

უნდა მიეღოთ 15 ტონა. მაგრამ ნარგავების მოუვლელობის გამო ძლივს ღებულობენ 4 ტონას. უხეირო და ცუდი მუშაობის შედეგად 1933 წლის საწარმო დავალება ასე ჩაფუშეს.

გერანის მოსავლის აღება (ფოთლების პირველი შეჭრა) უნდა დაწყებულიყო 1 აგვისტოდან. სინამდვილეში კი გერანის ნორმალური ფოთლების პირველი შეჭრა დაიწყეს 16 სექტემბრიდან და ისიც შეუწყნარებლად ნელი ტემპებით.

განა უთავბოლო მუშაობის შედეგი არაა ის, რომ მოსავლის აღებაზე მომუშავენი არ არიან უზრუნველყოფილი საჭრელი დანებით?

მოსავლის აღებაზე ყოველდღიურად უნდა მუშაობდეს 197 კაცი. ფაქტიურად მუშაობს 60.

# საბინაო მშენებლობის საშენი მასალებით უზრუნველყოფაში გარდატეხა არ მომხდარა

## ტფილისის საშენ მასალათა ტრესტის მუშაობაში გაუმჯობესების ნიშნები არ ჩანს

საქ. კ.პ. (ბ) ტფილისის კომიტეტისა და ტფილისის საბჭოს 23 სექტემბრის გაერთიანებულ პლენუმზე წარმოთქმულ სიტყვაში ამხ. ლ. ბერიამ ხაზგასმით აღნიშნა საბინაო მშენებლობის არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობა და საშენ მასალათა დამამზადებელი საწარმოების ჩამორჩენილობა. ამხ. ბერიას კონკრეტული მითითებების შემდეგ ამოძრავდენ ყველანი, ვისაც შეეხებოდა საშენ მასალათა წარმოების გეგმების შესრულება, შეიმუშავეს აგურის ქარხნებისათვის პრაქტიკული დახმარების გაწევის ღონისძიებები, მიიღეს დადგენილებები და საქმე ამით გათავდა, ამის შემდეგ ფაქტიურად არავის არაფერი გაუკეთებია.

ტფილისის საბჭომ, მაგალითად, საშენ მასალათა ტრესტს გადასცა ერთი ავტოკარი, მაგრამ უშინებოდ და ამის გამო ავტოკარი ტრესტმა ვერ გამოიყენა სულ უკანასკნელ დრომდე, რადგან მისი შინების შესაძენად მოსკოვში წასვლა გახდა საჭირო.

5 ოქტომბერს ტფილისის საბჭოს, ტრესტისათვის უნდა გადაეცა კიდევ ერთი ახალი საბარგო ავტომობილი. ტრესტს დღესაც არ მიუღია იგი.

ტრესტის ხელმძღვანელი ამხ. აბრამიანი აგურის ქარხნების ჩამორჩენის ძირითად მიზეზად ასახელებს ტრანსპორტის უქონლობას. მაგრამ ამავე დროს იგი არ ღებულობს ზომებს ჩამორჩენის იმ მიზეზთა აღმოსაფხვრელად, რომლებიც რამდენადმე მაინც ტრესტზეა დამოკიდებული. ეს რომ უფრო ცხადი იქნეს, საჭიროა მოვიყვანოთ ცნობები ტრესტში შემავალი აგურის ქარხნების მუშაობის შესახებ მესამე კვარტალში.

მთლიანად ტრესტმა მესამე კვარტალის გეგმა შეასრულა 52,7 პრ. ანუ 1.120.877 მანეთის საშენ მასალის მაგიერ, მოგვცა 590.882 მან. საშენი მასალა (აგური, კრამიტი, კაგიშიტი და სხვ.). ტრესტის საწარმოებში გეგმით გათვალისწინებულ 1.160 კაცის მაგიერ, საშუალოდ 650 კაცი მუშაობდა (56 პროც.). გამომუშავებულ კაცდღის რიცხვი 74.145-ის მაგიერ უდრიდა 41.443-ს (55,9 პროც.), ხოლო მუშის საშუალო დღიური გამომუშავების გეგმა შესრულებულ იქნა 94,3 პროცენტით, მე-4, მე-5, მე-6 და მე-7 აგურის ქარხნებმა ალიზის დამზადების გეგმა მესამე კვარტალში შეასრულეს—46,5 პროცენტით, გამომწვარი აგურისა—62,9 პროცენტით. აგურის მესამე ქარხანამ (დიდუბეში) ალიზის დამზადების გეგმა შეასრულა—51,3 პროც., გამომწვარი აგურისა—70,2 პროცენტით. ქვანის კრამიტის ქარხანამ კი მესამე კვარტალის გეგმა მხოლოდ—73,8 პროც. შეასრულა.

მოყვანილი ციფრები მოწმობს, რომ აგურის ქარხნების სუსტი მუშაობა მესამე კვარტალში აიხსნებოდა არამარტო ტრანსპორტის უქონლობით, არამედ შრომის ნაყოფიერების დაცემით, მუშა-ხელის ნაკლებობით, კვალიფიციური მეყალიბების სიმცირით და სხვ. ყოველივე — ამის წინააღმდეგ ტრესტს საჭირო ზომები არ მიუღია.

საჭიროა საშენ მასალათა ტრესტს აღმოეჩინოს დახმარება ტრანსპორტის გასაძლიერებლად. ნოემბრის პირველ რიცხვებში ტფილისის საბჭომ უნდა მიიღოს 5 ახალი ავტომანქანა. აქედან ორი მანქანა უსათუოდ საშენ მასალათა ტრესტს უნდა გადაეცეს. ამით ტრესტი შესძლებს აგურის თვითღირებულების ერთ მესამედზე მეტით შემცირებას და აგურის ხარისხის გაუმჯობესებას. ამჟამად ქარხნები ხშირად უშვებენ ისეთ აგურს, რომელიც საკმაოდ არაა გამომწვარი. ეს იმიტომ ხდება, რომ მათ არ აქვთ ქვანახშირის საკმაო რაოდენობით მომარაგების საშუალება.

ტრესტს ამჟამად ჰყავს 30 ცხენი, რომლებსაც ამუშავებენ აგურის გადაზიდვაზე და ნედლი მასალის მომარაგებაზე. ავტომანქანების მიღების შემდეგ ცხენის ტრანსპორტი შინასაქარხნო საჭიროებებისათვის უნდა იქნეს გამოყენებული, მაგრამ ცხენები ჩქარა დაიხოცებიან, თუ ტრესტმა ახლავე არ მოიმარაგა საკვები. ტრესტს კი საკვების ერთი კვირის მარაგიც არ გააჩნია.

ტფილისის საბჭომ საქმით უნდა განახორციელოს ის ღონისძიებები, რომელიც მან შეიმუშავა ამხ. ბერიას მითითებათა შესასრულებლად, კერძოდ, საშენ მასალათა საწარმოების მუშაობის გაუმჯობესების ხაზით.

დ. ლომთაძე.

## „შუშეულობით სავსეა ბაზარი"

საქ. საბინაო კავშირის ინჟინერ-ტექნიკოსები უიმედოდ ჩაიქნევენ ხელს, როცა მათ შეეკითხები საქ. მარაგგასაღების სამმართველოდან საშენ მასალათა მიღების გეგმებზე.

— რასაკვირველია, ცუდად გვამარაგებს საქ. მარაგ-გასაღება. ყველაზე საჭირო დეფიციტიური საშენი მასალა ჩვენ არ გვეძლევა. მაგალითად, საფანჯრე შუშეულობა. ბაზარი სავსეა საფანჯრე შუშეულობის ვაჭრებით. როგორიც გინდათ და რამდენიც გინდათ, იმდენ შუშას გიშოვნიან ისინი, ხოლო ჩვენ ვერ შეგვიკეთებია მუშათა ბინები, ვერ მოგვიხერხებია ამ ზამთრის პირს ფანჯრებში შუშების ჩასმა. ასე ლაპარაკობენ ინჟ. ჭუმბურიძე, ვ. ებანოიძე, კაპანაძე და სხვ.

საიდან გაჩნდა კერძო ბაზარზე შუშეულობა? საფანჯრე შუშეულობის ერთადერთი მიმღები და განმანაწილებელი ორგანიზაცია ხომ საქ. მარაგგასაღებაა. როგორ ხდება, რომ სახელმწიფო საამშენებლო ორგანიზაციებისათვის იგი შუშეულობას ვერ შოულობს საკმაო რაოდენობით, ხოლო სპეკულანტებს უხვად აქვთ მომარაგებული ეს დეფიციტიური მასალ. მიაქცია თუ არა ამ გარემოებას ყურადღება საქ. მარაგ-გასაღების ხელმძღვანელობამ?

ორჯონიკიძის ქუჩაზე № 153 არსებობს საქ. მარაგ-გასაღების საწყობი შუშეულობის მისაღები ერთადერთი წყარო ეს საწყობია. ჩანს ამ საწყობთან გააბეს ქსელი სპეკულანტებმა და იქედან მარაგდებიან. ამ საწყობიდან ვინ წყალობს ასე სპეკულიანტებს. რატომ ერთხელ მაინც არ დაინტერესებულა ამ საქმით საქ. მარაგ-გასაღების ხელმძღვანელობა, პირადად ამხ. ჯაფარიძე?

დაუყოვნებლივ უნდა იქნეს მიღებული ზომები საქ. მარაგ-გასაღების საწყობების მუშაობის გასაჯანსაღებლად. სასტიკად უნდა დაისაჯონ სახელმწიფო ქონების გამნიავებლები, საწყობების მუშაკთა რიგებში შეპარული - სპეკულიანტების აგენტები.

დ. ამირანაშვილი

## საქგზატრანსის სპეციალისტების სახლის მშენებლობას აჭიანურებენ

ლენინის და ხაზონოვის ქუჩის კუთხეში 1931 წ. აგვისტოში დაიწყეს საქგზატრანსის სპეციალისტების სახლის მშენებლობა.

მშენებლობის ადრე დამთავრებას საქ. გზატრანსის მმართველობა ყურადღებას არ აქცევდა, თუმცა დავალება იყო, რომ აღნიშნული სახლის აგება დამთავრებულიყო 1932 წლის დეკემბერში. ეხლაც კი, სამუშაოთა მწარმოებელ ტექნიკს ა. ხიმიონოვს [illegible] არ სჯერა, რომ მშენებლობის დამთავრებას თუნდაც ორი წლის დაგვიანებით მოახერხებენ. ვფიქრობ, მშენებლობა გადატანილი იქნება 1935 წელშიაცო—გულდამშვიდებით აცხადებს იგი.

რა აფერხებს მშენებლობას?

მშენებლობა თავიდანვე არ იყო და არც ეხლაა მომარაგებული საშენი მასალით.

მშენებლობის ხელმძღვანელობას დადებული აქვს ხელშეკრულება აგურის ქარხნებთან, მაგრამ მისი შესრულებისათვის არც ერთი მხარე არ ზრუნავს. მშენებლობას აკლია აგური, არ აქვთ კირი და ცემენტი. სამუშაოს მწარმოებლები კი მაინც გულშვიდათ არიან. „რკინის გზამ არ მოგვცა ვაგონი კირის გამოსაზიდათ, ჩვენ აბა რა შეგვიძლიაო"—ამბობენ ძიძი და გულხელდაკრეფილი ელიან მზამზარეულ მასალებს.

მშენებლობაზე 120 მუშის მაგიერ, 55 კაცი მუშაობს. საქგზატრანსს არც მუშა-ხელის შეგროვებისათვის მიუღია საჭირო ზომები. საამშენებლო გეგმა შესრულებულია მხოლოდ 43 პროცენტით. დღემდე დახარჯულია 400 ათასი მანეთი, რაც საფინანსო გეგმის 30 პროცენტს შეადგენს. სულ კი მშენებლობის დასამთავრებლად 1.300.000 მანეთია საჭირო.

საქგზატრანსის სპეციალისტთა სახლის მშენებლობა დანიშნულ ვადისათვის უნდა დამთავრდეს. სასტიკი პასუხი უნდა მოეთხოვოს ყველა მათ, ვინც ხელს უწყობს მშენებლობის გაჭიანურებას და თავისი უმოქმედობით იწვევს სპეციალისტთა სამართლიან საყვედურს.

ზ. ქორიძე.

# ბრძოლა პირუტყვის ზამთარში სანიმუშო დაბინავებისათვის

## მეცხოველეობის მეურნეობათა დამკვრელების შეკრება ქიზიყში

(„კომუნისტი"-ს საკუთარი კორესპონდენტისაგან)

საკოლმეურნეო სასაქონლო ფერმების გამგეები და დამკვრელი კოლმეურნე - მწყემსები, მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობების დირექტორები და ამ მეურნეობათა მოწინავე მუშები — აი ვის მოეყარათ 16 ოქტომბერს თავი ქიზიყის გულის —ქვემომაჩხაანის თეატრის წინ. აქ იყვნენ აგრეთვე სიღნაღის რაიონის პარტიულ და საბჭოთა ორგანიზაციების პასუხისმგებელი ამხანაგები, წნორის სამ.-სატრ. სადგურის პოლიტგანყოფილების უფროსი და პრესის წარმომადგენლები.

ამ დღეს ქვემომაჩხაანში მოწვეული იყო რაიონული შეკრება მეცხოველეობის საკითხებზე. თეატრის გარეთ და შიგნით გამოკრულია ლოზუნგები: „ვიბრძოლოთ სოციალისტური მეცხოველეობის განვითარებისათვის", „კულტურული ბინები და ნოყიერი საკვები—პირუტყვი"-ს და სხვ.

ნაშუადღევის პირველ საათზე შეკრებას შესავალი სიტყვით ხსნის სიღნაღის რაიაღმასკომის თავმჯდომარე ამხ. შიშნიაშვილი.

დღის წესრიგშია ორი საკითხი: 1. პირუტყვის საზამთრო ბინებითა და საკვებით უზრუნველყოფა. 2. მატყლის დამზადების შედეგები.

შეკრებას ესწრებიან ამ.-კავკასიის და საქართველოს მატყლის დამზადებათა კანტორების მმართველები.

პირველ საკითხზე მოხსენებით გამოდის რაიკომის საორგანიზაციო განყოფილების გამგე ამხ. მესტიაშვილი. თანამოხსენებას კითხულობს ელდარის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი ამხ. აბაშიძე და რაიაღმასკომის კომბინატის დირექტორი ამხ. ჩხეიძე. მატყლის დამზადების შედეგებზე ინფორმაციულ მოხსენებას აკეთებს საქ. მატყლდამზადების სიღნაღის რაიონული პუნქტის გამგე ამხ. ბეროშვილი.

შეკრების მონაწილენი დიდი ყურადღებით უსმენდენ მოხსენებებს და კამათში გამოსულ ამხანაგებს, რომლებიც, უმთავრესად, ეხებოდენ პირუტყვისათვის საზამთრო ბინების მშენებლობას, საკვებს და საძოვრების საკითხებს.

გამოირკვა, რომ სიღნაღის რაიონში აშკარად არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს პირუტყვისათვის საზამთრო ბინების მშენებლობა. საქ. კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებით ბინების მშენებლობა უნდა დამთავრებულიყო 1 ოქტომბრისათვის. ეს ვადა დარღვეულია.

### მშენებლობის კრედიტები არ არის ათვისებული

კულტურული ბოსლების მშენებლობა გათვალისწინებული იყო რაიონის 9 კოლმეურნეობაში — 900 ძროხისთვის. ფაქტიურად აგებულია მხოლოდ ორი ბოსელი — 200 ძროხისათვის. გასულ წელს საკოლმეურნეო სასაქონლო ფერმებში დაწყებული კულტურული ბინების მშენებლობა დღემდე არ არის დამთავრებული. ასეთ მდგომარეობას აქვს ადგილი სოფ. ნუკრიანის კოლმეურნეობა „ლენინის ანდერძში", ბოდბის — „პირველი მაისის" სახ. კოლმეურნეობაში და სოფ. მაღაროს კოლმეურნეობაში „შრომაში".

მიმდინარე წლის მესამე და მეოთხე კვარტალში კოლმეურნეობებს ბინების მშენებლობისათვის გამოეყოთ კრედიტები 32.240 მან. რაოდენობით, მიუხედავად რაიაღმასკომის არა ერთი კატეგორიული გაფრთხილებისა, ამ კრედიტის უმეტესი ნაწილი ჯერ კიდევ არ აუთვისებიათ. კოლმეურნეობებს. მაგ. 7 კოლმეურნეობას ძროხებისათვის ბოსლების ასაშენებლად გამოყოფილი აქვთ 12.240 მანეთი. აქედან ფული გატანილი აქვს მხოლოდ სოფ. მაღაროს კოლმეურნეობა „ლენინის გზას", კრედიტები არ გაუტანია სოფ. მაღაროს კოლმეურნეობა „შრომა"-ს, ულიანოვკას ვოროშილოვის სახ. კოლმეურნეობას, არბოშიკის კოლმეურნეობა „წითელ სხივს", ქვემომაჩხაანის ამხ. მახარაძის სახ. კოლმეურნეობას და ქვემოქედის კოლმეურნეობას.

მეცხვარეობისათვის გადადებულია 6.600 მანეთი. აქედან ათვისებულია მხოლოდ ნახევარი. მეცხენეობის ფერმებისათვის გამოყოფილია 11.700 მანეთი. ამ თანხიდან დღემდე კაპეიკიც არ არის გატანილი. სოფ. მაღაროს კოლმეურნეობა „შრომა", ზემომაჩხაანის ამხ. სტალინის სახ. კოლმეურნეობა, წითელწყაროს კოლმეურნეობა „ბატრაკი" და ნუკრიანის კოლმეურნეობა „ლენინის გზით" — აი ის კოლმეურნეობები, რომელთა თავმჯდომარეებსაც არ გააქვთ ფული და არც იწყებენ ბოსლების მშენებლობას

— ჩვენ გვყავს 6.300 სული ცხვარი; აქედან საზამთრო ბინებით უზრუნველყოფილია მხოლოდ — 4500 განაცხადა შეკრებაზე ზემოქედის კომუნის თავმჯდომარემ ამხ. ჩოხელმა.

საზამთრო ბინით არაა უზრუნველყოფილი აგრეთვე 200 ძროხა და 100 ცხენიო, — განაგრძობს ჩოხელი. კომუნის თავმჯდომარე გულახდილად აღიარებს, რომ ისინი ჩამორჩნენ ბინების მშენებლობაში და რომ ამ მდგომარეობას სჭირდება სასწრაფო გამოსწორება.

— ჩვენ არ ვიცით — სად ავაგოთ 400 ღორისათვის ბინა, ახლაც ადგილს დავეძებთო — „თავს იმართლებს" ქვემომაჩხაანის ამხ. ფ. მახარაძის სახ. კოლმეურნეობის თავმჯდომარე ამხ. პეპანოვი.

### მ თ ა ვ ა რ ი ა ს ა კ ვ ე ბ ი

გასულ წელთან შედარებით სიღნაღის რაიონის საბჭოთა მეურნეობები და სასაქონლო ფერმები წელს უზრუნველყოფილი არიან საკვები მასალით. მაგრამ არის ისეთი კოლმეურნეობები, რომელნიც უხეში საკვების დამზადების მხრივ ძალიან ჩამორჩნენ. ასეთებს ეკუთვნიან სოფ. მაღაროს კოლმეურნეობა „შრომა", ბოდბის კოლმეურნეობა „პირველი მაისი" ზემომაჩხაანის სტალინის სახ. კოლმეურნეობა და სხვა.

— თივით არა ვართ უზრუნველყოფილი. გვესაჭიროება 70.000 ფუთამდე თივა. ნამდვილად კი გვაქვს მხოლოდ 30.000 ფუთი, რომელიც უნდა გადმოვზიდოთ შირაქის საბჭოთა მეურნეობიდან. გადმოზიდვას უკვე ვაწარმოებთო—განაცხადა ელდარის საბჭოთა მეურნეობის დირექტორმა.

როგორც თანამომხსენებლები, ისე კამათში გამოსული ამხანაგები აღნიშნავდენ საზაფხულო, საშემოდგომო და საზამთრო საძოვრების სიმცირეს ცხვრის სავალი გზების შეკეთებას, შირაქში წყლის საკითხის მოგვარებას, ვეტერინალურ მომსახურეობის სისუსტეს, სასაქონლო ფერმებში შრომის ორგანიზაციის მოუგვარებლობას და სხვ. ამ საკითხების შესახებ შეკრებამ გამოიტანა დადგენილება, რითაც იგი აფრთხილებს საკოლმეურნეო სასაქონლო ფერმებს, საბჭოთა მეურნეობებს და ერთპიროვნულ მეურნეებს, რომელნიც მეცხოველეობას მისდევენ, გადამჭრელი ზომები მიიღონ პირუტყვისათვის საზამთრო ბინების მშენებლობის უახლოეს დროში დასამთავრებლად და ბინაზე საკვების მისატანად.

### გარდამავალი დროშა მატყლის ჩაბარების გეგმის შესრულებისათვის

როგორც შეკრებაზე აღინიშნა, სიღნაღის რაიონმა — მთელს ამიერ - კავკასიაში პირველმა შეასრულა მატყლის ჩაბარების წლიური გეგმა.

რაიონს სახელმწიფოსათვის გეგმით უნდა ჩაებარებინა 2.880 ცენტნერი მატყლი (გაზაფხულის, შემოდგომის ბატკნის და ციკნისა). ეს დავალება ვადამდე 100 პროცენტით იქნა შესრულებული.

შეკრებაზე სიტყვა წარმოთქვა საქ. მატყლდამზადების კანტორის მმართველმა ამხ. ბუჯიაშვილმა, რომელმაც ხაზი გაუსვა სიღნაღის რაიონული ორგანიზაციების თავდადებულ მუშაობას მატყლის ჩაბარების გეგმის ვადამდე შესრულების საქმეში და ჩაბარებლების იმ ენტუზიაზმს, რომელმაც უზრუნველყო ამ საბრძოლო ამოცანის ბოლშევიკურად შესრულება.

მატყლის ჩაბარების საქმეში პირველობისთვის ამხ. ბუჯიაშვილმა შეკრებას გადასცა ამიერ - კავკასიის მატყლდამზადების გარდამავალი დროშა.

დასასრულ მოხდა იმ საბჭოთა მეურნეობების, საკოლმეურნეო, სასაქონლო ფერმების, მათი ხელმძღვანელების საუკეთესო კოლმეურნეებისა და ერთპიროვნული მეურნე მწყემსების დაჯილდოვება, რომელთაც მატყლის ჩაბარებაში პირველობა გამოიჩინეს.



სიღნაღის მეცხვარეთა კავშირის ცხვარი შირაქის საძოვრებზე.

# „საქთევზის" მოწუწუნენი და შეუსრულებელი გეგმები

(„კომუნისტის" ბრიგადისა გან)

„საქთევზის" სარეწაოებმა 1933 წლის პირველი ნახევრის გეგმა შეასრულეს 118,7 პროცენტით. ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 23.166 ცენტნერისა, დამზადებულია 27.497 ცენტნერი თევზის პროდუქცია; მაგრამ პროდუქციის ასორტიმენტი სრულიად არადამაკმაყოფილებელია. ძვირფასი ჯიშის (წითელი თევზი და სხვ.) თევზის ჭერის ნახევარი წლის გეგმა 50 პროცენტითაც კი არ არის შესრულებული. ამის მთავარი მიზეზი მდგომარეობდა იმაში, რომ „საქთევზის" სამმართველო მოწყვეტილი იყო სარეწაოებს, ვერ უწევდა მათ ოპერატიულ ხელმძღვანელობას. ამიტომ გადაწყდა სამმართველო გადაეტანათ ტფილისიდან ბათომში.

სამმართველოს ბათომში გადატანას თითქოს უნდა გაეუმჯობესებინა მდგომარეობა, უზრუნველეყო თევზის ჭერის გეგმების ხარისხობრივ მაჩვენებელთა შესრულება, განემტკიცებია სარეწაოებზე ცოცხალი ხელმძღვანელობა და სხვ. მაგრამ ეს ასე არ მოხდა, რადგან „საქთევზის" სამმართველოს აპარატს ბათომშიაც შერჩნენ საბოტაჟნიკები და კანცელარიულ - ბიუროკრატიული მეთოდის მოტრფიალენი, რომლებმაც არ მოისურვეს მუშაობის გარდაქმნა.

ტფილისიდან ბათომში გადაყვანილი მუშაკების უმრავლესობა დღესაც განაგრძობს კანცელარიულ ბიუროკრატიული მეთოდებით მუშაობას და არ სურს ნამდვილად, საქმით მოჰკიდოს ხელი ბრძოლას, სარეწაოებზე გეგმების ხარისხობრივი მაჩვენებლების შესრულებისათვის.

ამას ადასტურებს თუნდაც მესამე კვარტალის (როცა სამმართველო ბათომში იყო) გეგმების შესრულების სურათი. მესამე კვარტალის გეგმა შესრულებულია მხოლოდ 56 პროცენტით (ნაცვლად 1.200 ცენტნერი თევზისა, დამზადებულია — 556 ცენტნერი). თვით ბათომის სარეწაოს მესამე კვარტალის გეგმა შესრულებული აქვს 3 პროცენტით. (ნაცვლად 125 ცენტნერისა, ბათომის სარეწაოზე დამზადებულია მხოლოდ 4 ცენტნერი თევზი). „საქთევზი"-ს მუშაკებმა ცოცხალი ხელმძღვანელობის გაწევა ვერ უზრუნველყვეს ბათომის სარეწაოზეც კი, რომელიც სამმართველოს ცხვირწინაა მოთავსებული. ამის შემდეგ ზედმეტია ლაპარაკი ფოთის და ტფილისის სარეწაოების ხელმძღვანელობის შესახებ. ასორტიმენტის მხრითაც მესამე კვარტალის გეგმა ვერაა შესრულებული. სარეწაოებზე სრულიად არავითარი გარდატეხა არ არის მომხდარი თევზის სიღრმითი ჭერის დანერგვისათვის. ამის გამო მცირეა ძვირფასი ჯიშების თევზის ხვედრითი წონა. არავითარი ბრძოლა არ წარმოებს სარეწაოებზე გავრცელებული მტაცებლობის წინააღმდეგ; სახ. ქონების გამნიავლებლები თავისუფლად იტაცებენ დამზადებულ, უკეთესი ჯიშების პროდუქციას, რითაც შემდეგ ბათომის ბაზარზე ეწევიან სპეკულაციას; ამ დროს კი „საქთევზის" სამმართველოს მუშაკები ბუზღუნებენ სიღრმითი ჭერისათვის საჭირო ხელსაწყოების სიმცირესა და ქალაქის საბჭოს ორგანოების მოუქნელობაზე.

„საქთევზის" სამმართველოს აპარატი მოუქნელია და მისი მუშაობა უვარგისი. არავითარი პრაქტიკული ნაბიჯი არ არის გადადგმული კვალიფიციურ მუშაკთა გადასროლისათვის კანცელარიებიდან სარეწაოებზე. ბათომის და ფოთის სარეწაოებს არა ჰყავთ სპეციალისტი - ეკონომისტები, ხოლო სამმართველოს კანცელარიაში ეკონომისტები უსაქმოდ სხედან. სამმართველოს საგეგმო სექტორის უფროსი ეკონომისტი აბრამოვი კრინტსაც არ ძრავს სარეწაოებზე იმ ეკონომისტების გადასროლის შესახებ, რომლებიც სამმართველოს კანცელარიებში არიან მოკალათებული და ისიც ეკონომისტის პროფესიისათვის შეუფერებელ სამუშაოებზე. აბრამოვი ძალიან კარგად გრძნობს სარეწაოებზე ეკონომისტების გადაყვანის საჭიროებას, მაგრამ ამისათვის არ ზრუნავს, იმიტომ, რომ ამით მას მოესპობა საშუალება მიიღოს სარეწაოებისათვის საგეგმო სამუშაოების შესასრულებლად დამატებითი გასამრჯელო. ხეირიანად არც სამმართველოშია დაყენებული აღრიცხვა. გეგმები არაა მოყვანილი წესრიგში, არაა შეთანხმებული ერთმანეთთან და სხვ.

კომუნისტი — ეკონომისტი ამხ. შალვა ნადიბაიძე, რომელსაც უკავია თავისი პროფესიისთვის შეუფერებელი რამოდენიმე თანამდებობა. (შრომის ეკონომიკის, კადრების, სპეცნაწილის და შესრულება - შემოწმების სექტორების საერთო უფროსი) არსებითად აქ არაფერს არ აკეთებს. მან არ იცის რას უდრის მესამე კვარტალში დამკვრელთა და სოცშეჯიბრებაში გამარჯვებულთა დასაჯილდოებელი ფონდები და რამდენი დაიხარჯა აქედან. არა აქვს კონკრეტული სახელობითი სიები დამკვრელთა და სოცშეჯიბრებაში გამარჯვებულთა; ნადიბაიძე ვერ აძლევს კონკრეტულ დავალებას თავის ხელქვეითებსაც კი; ამიტომ, შრომის ეკონომიკის სექტორის აღმასრულებელი — ისკორსკი, კადრების სექტორიდან თხილაიშვილი, რაციონალიზატორი — ფრიდმანი და სხვ. კანცელარიულ ფუსფუსსა და უმოქმედობაში ატარებენ მთელ სამუშაო საათებს, ნადიბაიძე კი ნიადაგს სინჯავს ბათომში მუშაობისგან თავის დასაძვრენად.

ეკონომისტ მურმანიშვილს არა აქვს შესწავლილი და სისტემაში მოყვანილი ნახევარი წლის გეგმების შესრულების მაჩვენებლები. საფინანსო განყოფილების გამგეს გვარჯალაძეს 13 ოქტომბრისათვის არ ჰქონდა შეჯამებული მასალები მესამე კვარტალის ფინანსურ მდგომარეობაზე. ეკონომისტი ბუალავა არ იცნობს ცალკე სარეწაოების გეგმების შესრულების მაჩვენებლებს და ა. შ.

აპარატის მოუქნელობას ხელს უწყობს ისიც, რომ აქ არავინ არ აწარმოებს შესრულების კონტროლს. არ არის გაშლილი თვითკრიტიკა, არ ეხმაურებიან პრესის შენიშვნებს „საქთევზის" მუშაობის შესახებ და სხვ. მაგ. გაზეთ „ტიფლისკი რაბოჩი" სექტემბერში მოთავსებულ შენიშვნისათვის „საქთევზის" თანხების გამფლანგველთა შესახებ ამ ორგანიზაციის ხელმძღვანელებს დღემდის არავითარი ყურადღება არ მიუქცევიათ. უმიზნოდ გაცემული ავანსები აღწევს 10 ათას მანეთამდის. სენსაციური მიზეზებით (გაგიჟება, გაქურდვა და სხვ.- ავანსის ჩამოწერა აქ ჩვეულებრივ მოვლენადაა გადაქცეული. სამმართველოს მუშაკების დიდი ნაწილი მუშაობის ნაცვლად წუწუნებს „ბათომში მუშაობის საშინელი პირობების შესახებ"; ამ მხრივ კომუნისტი ნადიბაიძე პირველია. სამმართველოს პარტჯგუფს არ განუხილავს მესამე კვარტალის გეგმების შესრულების საკითხი და არ მიუღია არც ერთი პრაქტიკული ღონისძიება. პროფორგმა ქურიძემ ტფილისიდან გადმოსვლის დღიდანვე თვითნებურად მიატოვა და ჩაშალა პროფმუშაობა.

„საქთევზის" სამმართველოს მუშაობის ნამდვილად გარდაქმნისათვის საქ. კ.პ. (ბ) აჭაროლქკომმა უნდა მიიღოს გადამწყვეტი ზომები. დროა „საქთევზის" სამმართველო გაიწმინდოს საბოტაჟნიკებისა და მოწუწუნეთაგან და უზრუნველყოფილი იქნას საწარმოო - საფინანსო გეგმის მთლიანად და ვადაზე შესრულება.

ნ. ფხაკაძე, ხ. ხონელიძე.

## ლეიპციგის პროცესი

# ფაშისტების დაქირავებული „მოწმეები“ სიცრუეში დაიჭირეს

**პრაღა**, 19 ოქტომბერი. ბერლინიდან იუწყებიან; პროცესის 18 ოქტომბრის სხდომის დასაწყისს სასამართლოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ სასამართლომ გადაწყვიტა გამოიწვიოს მოსკოვიდან მთელი რიგი მოწმეები, რომლებმაც უნდა მისცენ სასამართლოს ჩვენება იმის შესახებ, თუ როდის იყვნენ პოპოვი და ტანევი საბჭოთა კავშირში. შემდეგ სასამართლომ უარყო დიმიტროვის მოთხოვნა მისცენ მას თავის დაცვის გასაადვილებლად „მიხაკისფერი წიგნის“ ეგზემპლიარი. დიმიტროვმა მოსთხოვა „დამცველ“ ტეიხერტს გააცნოს იგი ცეცხლის წაკიდების ყველა ცნობებს, რომლებსაც შეიცავს „მიხაკისფერი წიგნი“. ტეიხერის განცხადებაზე: „მე ეს უკვე ვავაკეთე“, დიმიტროვი უპასუხებს: „ეს არ არის მართალი. თქვენ არ მომაწოდეთ ინფორმაცია“.

სასამართლომ დაკითხა „მოწმეები“ — გერინგის სახლის მოსამსახურეები, რომლებიც განსაკუთრებული ნდობის ღირსნი არიან. გერინგის სახლის ღამის მეკარემ ადერმანმა დიმიტროვის შეკითხვაზე — თუ რა პარტიას ეკუთვნის იგი, განაცხადა, რომ წინათ იყო სოციალ-დემოკრატი, ხოლო შემდეგ გადავიდა „ერთ-ერთ მემარჯვენე პარტიაში“. როგორც ჩანს, აღნიშნული მოწმის რწმენა შეიცვალა მაშინვე, როგორც კი რეიხსტაგის თავმჯდომარის სახლში გამოჩნდენ ახალი ბატონები. ადერმანმა განაცხადა, რომ არც ხანძრის გაჩენამდე და არც ხანძრის დროს, თითქოს, არავინ არ შესულა მიწისქვეშა გასასვლელში, რომელიც რეიხსტაგის შენობას აერთებს გერინგის სახლთან. იგი ამტკიცებს, რომ, იმყოფებოდა რა მეკარის სადგომში, მას შეეძლო „გაეგონა ყოველგვარი ხმაური მიწისქვეშა გასასვლელში“. მაგრამ იმ საღამოს მას არაფერი გაუგონია. იმისათვის, რომ მისცეს თავის ჩვენებას სიმართლის მეტი მსგავსება, ადერმანი დასძენს, რომ წინათ მან მართლაც გაიგონა მიწისქვეშა გასასვლელში „საეჭვო ხმაური“ მაგრამ სასამართლო ამჯობინებს არ შეეხოს მოწმის ამ უაღრესად მნიშვნელოვან „უნებლიე ჩვენებას“. შემდეგი ჩვენების მიცემის დროს ადერმანი ჩავარდა წინააღმდეგობაში გერინგის სახლში მოიერიშეთა რაზმის ყოფნის საკითხზე. თავდაპირველად იგი აცხადებს, რომ უცხოეთის პრესის მტკიცება, თითქოს, გერინგის სახლში იყვნენ მოიერიშეები, მტკნარი სიცრუეა და რომ მოიერიშეები საერთოდ არასოდეს არ ყოფილან ამ სახლში. ამავე დროს საყოველთაოდ ცნობილია, რომ გერინგი არსად არ დადის ისე, თუ მას არ ახლავს მოიერიშეთა რაზმი. ტორგლერის მიერ მიცემულ შეკითხვაზე ადერმანი ამბობს, რომ სასახლეში იყო მხოლოდ გერინგის პირადი მცველი რაზმი. ტორგლერი აცხადებს, რომ რეიხსტაგის კომფრაქციის სადგომის ფანჯრებიდან სისტემატიურად ხედავდენ, თუ როგორ წრუწუნებდენ მოიერიშეები ძალის გერინგის სახლის ბაღში. უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდნილი „მოწმე“ იძულებულია აღიაროს, რომ „ზოგჯერ ერთ მოიერიშეს დაყავდა ძაღლი გერინგის ბაღში“. ტორგლერის განმეორებით მტკიცებაზე რომ ლაპარაკია არა ერთ, არამედ მრავალ მოიერიშეზე, ადერმანი აცხადებს: „მე არ ვიცი რამდენი მოიერიშე იყო დღისით. მე იქ ვიყავი მხოლოდ ღამით“.

ადერმანის დაკითხვის შემდეგ სასამართლო გადის მიწისქვეშა გასასვლელის დასათვალიერებლად. დათვალიერების დროს დაშვებული არ იქნენ არც ბრალდებულები და არც გაზეთების კორესპონდენტები. დარბაზში სასამართლოს დაბრუნების შემდეგ, თავმჯდომარე ბიუნგერი აცხადებს, რომ მოწმე ადერმანი მართალია, ვინაიდან სასამართლო დარწმუნდა, რომ მეკარის სადგომში, სადაც ადერმანი იმყოფებოდა თავის მოვალეობის შესრულების დროს, თითქოს ისმის, თუ ვინმე ფეხმძიმე მიდის მიწისქვეშა გასასვლელში. შემდეგმა ორმა „მოწმემ“, რომლებიც აგრეთვე მსახურობენ გერინგის სახლში, სიტყვა-სიტყვით გაიმეორეს ადერმანის ჩვენება.

შემდეგ სასამართლომ მოისმინა „მოწმის“ — გერინგის პირადი მცველი მოიერიშეთა რაზმის უფროსის ვებერის ჩვენება. როგორც ცნობილია, ვებერი გერინგთან ერთად დაესწრო რეიხსტაგის ხანძარს. ვებერი აცხადებს, რომ მან მაშინვე დაუყოვნებლივ დაათვალიერა მიწისქვეშა გასასვლელი მაგრამ „ვერავითარი საეჭვო რამ ვერ აღმოაჩინა“ (ადს).

# „შექმნილი მდგომარეობა მოითხოვს განიარაღების სასწრაფოდ შემცირებას“

### ამხ. დოვგალევსკის ინტერვიუ

**პარიზი**, 18 ოქტომბერი. „პარი სუარმა“ გამოაქვეყნა ამხ. დოვგალევსკის ინტერვიუ ჟენევაში.

ინტერვიუში ნათქვამია: ...

# საფრანგეთ-გერმანიის ურთიერთობა

### დალადიეს გამოსვლა პარლამენტის სესიაზე

**პარიზი**, 17 ოქტომბერი. გაიხსნა პარლამენტის სესია. პრემიერმა დალადიემ დეპუტატთა პალატაში შეიტანა საფინანსო ...

**პრაღა**, 19 ოქტომბერი. დალადიეს სიტყვა დეპუტატთა პალატაში გერმანიის გაზეთებმა გამოაქვეყნეს უკომენტარიოთ. ამასთან სიტყვიდან მათ გამოსტოვეს მთელი რიგი უმნიშვნელოვანესი ადგილები, კერძოდ საფრანგეთის მიერ უარის თქმა გერმანიასთან პირდაპირ მოლაპარაკებაზე და დალადიეს მითითება, რომ საფრანგეთს აქვს არა მარტო ყურები სმენად, არამედ აგრეთვე თვალები ხედვად. მხოლოდ „ფოსიშე ცეიტუნგი“ თავის კომენტარიებში მწუხარებას გამოსთქვამს იმის გამო, რომ დალადიემ არავითარი სურვილი არ გამოიჩინა მიეღო ჰიტლერის მიერ გულთბილად გაწვდილი ხელი“.

# ამ. ჩინეთის რკინის გზის მმართველის ამხ. რუდის ბრძანება

... „მიუხედავად ჩემი ბრძანებისა, რომელიც გაცემულ იქნა გზაზე არსებულ დებულებებთან და წესებთან შეფარდებით, წევის დარგის უფროსის მოვალეობათა დროებით ამსრულებლად ინჟინერ ლევიგინის დანიშვნის შესახებ, წევის დარგის უფროსის თანაშემწე ინჟინერი ტიან-სინ-ფუ განაგრძობს უკანონო დეპეშების გზავნას ხაზზე ყოველგვარი დანიშვნების შესახებ და სცემს სხვადასხვა ცირკულიარებს, რომელნიც ხვდებიან საქმის წარმოებას შინა განწესს, როგორც გზის სამმართველოში, ისე ხაზზე, რაც არღვევს წევის დარგის მუშაობის ნორმალურ მსვლელობას. წინადადებას გაძლევთ ზუსტად იხელმძღვანელოთ ჩემი ბრძანებით წევის დარგის უფროსის მოვალეობათა დროებით ამსრულებლად ინჟენერ ლევიგინის დანიშვნის შესახებ. ლევიგინის წინადადებას ვძლევ დაუყოვნებლივ მომახსენოს იმ პირთა შესახებ, რომელთაც დასტოვეს თავისი ძირითადი თანამდებობანი და ცდილობენ ძალდატანებით დაიკაონ ადმინისტრატიული თანამდებობანი. ყველა დოკუმენტი და განკარგულება, გამომდინარე იმ პირთაგან, რომელთაც არ მიუღიათ დანიშვნა ზემოდ დასახელებული წესით, ჩაითვალოს გაუქმებულად. წევის დარგის უფროსის თანაშემწეს ტიან სინ-ფუს წინადადებას ვძლევ ზუსტად იხელმძღვანელოს ბრძანებით, რომელიც განსაზღვრავს მის უფლებებს, როგორც წევის დარგის უფროსის თანაშემწის და არ დაუშვას მათი დარღვევა“ (ადს).

# ბრძოლა საიტოს მთავრობის შიგნით

**ტოკიო**, 19 ოქტომბერი. სამხედრო სამინისტრომ გამოაქვეყნა „არაოფიციალური ცნობა“, რომელიც მიუთითებს, რომ 8 ოქტომბერს შემდგარმა სამხედრო საბჭოს სხდომამ, რომელშიც სამხედრო მინისტრის არაკის მოხსენებას, გადასწყვიტა მხარი დაუჭიროს არაკის მიერ ხუთი მინისტრის თათბირებზე წამოყენებულ მოთხოვნებს. ცნობაში აღნიშნულია, რომ საგარეო და საშინაო პოლიტიკის პრინციპები, რომლებიც წამოაყენა არაკიმ ამ თათბირზე, დამუშავებულია „სამხედრო სამინისტროსა და გენერალურ შტაბთან ერთად“ და ამგვარად გამოხატავენ „მთელი არმიის“ შეხედულებას.

ამ ცნობამ სენსაცია გამოიწვია მთავრობის წევრებში. პოლიტიკურ წრეებში ამ ცნობას სთვლიან კაბინეტში ბრძოლის გამწვავების ნიშნად და იმის დამადასტურებელ საბუთად, რომ სამხედრო წრეებს გადაწყვეტილი აქვთ მოითხოვონ არაკის მოთხოვნების სავსებით დაკმაყოფილება (ადს).

# ზესტაფონის ფერო-მარგანეცის ქარხანა ამუშავების წინ

**ზესტაფონი**, 20 ოქტომბერი. ზესტაფონის ფერო-მარგანეცის ქარხანა ამუშავდება პირველ ნოემბერს.

ამჟამად წარმოებს დანადგარების გამოცდა. დამთავრდა წყალსადენის გამოცდა, რაც სავსებით წარმატებით ჩატარდა, გამოცდილ იქნა ზესტაფონის ღია ქვესადგური და 18 ოქტომბრიდან მან უკვე დაიწყო მუშაობა, გამოცდილია ტრანსფორმატორები. დახურული ქვესადგურის გამოცდამ გვიჩვენა მონტაჟის კარგი ხარისხი.

21 ოქტომბერს მოხდება ხიდების და სამსხვრევების გამოცდა, რის შემდეგ დაიწყება ნედლეულის (მარგანეცის, ქვანახშირი, კირი) მიტანა ღუმელებთან და მათი დატვირთვა. ჭიათურიდან უკვე მოტანილია 1500 ტონა მარგანეცი. ამჟამად წარმოებს ღუმელების უკანასკნელი გამოცდა.

მშენებლობაზე წარმატებით მუშაობს კომკავშირის ორგანიზაცია. კომკავშირის ბრიგადებმა, ქარხანა გამოიყვანეს გარღვევიდან. შრომის სოციალისტური მეთოდების ფართოდ გამოყენებით მათ დაამთავრეს ჩამორჩენილი ობიექტების შინასაქარხნო ვიწროლიანდაგიანი გზის და სხვ. მშენებლობა (ადს).

# რიონჰესის მეორე აგრეგატი სამრეწველო დენს მოგვცემს 25 ოქტომბერს

**ქუთაისი**, 20 ოქტომბერი. მეორე აგრეგატის მოსამზადებელი და სამონტაჟო სამუშაოების დამთავრების შემდეგ, 15 ოქტომბერს, საღამოს 9 საათზე, ამუშავებულ იქნა გენერატორი მისი ელექტრო-ნაწილის გამოსაცდელად. გამოცდა დამთავრდა 16 ოქტომბერს ბრწყინვალე შედეგებით. 17 ოქტომბერს დაიწყო ტურბო-გენერატორის და მეორე საწნეო მილგაყვანილობის გამოცდა. 17 ოქტომბერს დილით წყლის რეოსტატის დახმარებით მეორე ტურბოგენერატორს მიეცა პირველი დატვირთვა 1.000 კილოვატის ოდენობით, რაც აყვანილ იქნა 7.000 კილოვატამდე.

მეორე ტურბოგენერატორის გამოცდამ, რაც ჩატარდა მისი სიმძლავრის ნახევრით და რაც 19 ოქტომბრამდე გრძელდებოდა გვიჩვენა მუშაობის საუცხოვო ხარისხი. რეგულიატორის დეფექტები, რომლებიც შემჩნეული იყო გამოცდის პროცესში, დაკვრით წესით იქნა გამოსწორებული.

20 ოქტომბერს განახლდა წყლის რეოსტატის გამოცდა სრული სიმძლავრით — 12.500 კილოვატი დატვირთვით. ამავე დროს მოხდა მისი მოულოდნელი დატვირთვა და გადატვირთვა.

სრულ სიმძლავრეზე გამოცდის წინასწარი შედეგები ფრიად დამაკმაყოფილებელია. ტურბოგენერატორი, მილგაყვანილობა, რეგულიატორი, ავტომატი, დამცველი სისტემა მოქმედებენ სრულიად შეუფერხებლად.

21 ოქტომბერს დამთავრდება აგრეგატის გამოცდის პირველი სტადია. 22—23 ოქტომბერს გამოცდის პროგრამის თანახმად ჩატარდება ძალოვანი ტრანსფორმატორების გამოცდა და ძაბვის ქვეშ დაყენებული იქნება ღია ქვესადგური.

24 ოქტომბერს პარალელურად ამუშავდება ორივე აგრეგატი. 24—25 ოქტომბერს რიონჰესი მისცემს დენს როგორც ფეროშენადნობის ქარხანას, ისე ქუთაისის წარმოებსაც (ადს).

# ფიზკულტურა და სპორტი

... ნაკრებს და თამაში მთავრდება ფრედ 1:1.



სტალინი — „დინამო“. აბარებენ ნორმას სიმძიმის (სავაზნე ყუთების) გადატანაში.

# ლატვიის მთავრობა გადადგა

**ტალინი** (რეველი), 18 ოქტომბერი. დაუზუსტებელი წინასწარი ცნობებით, პლებისციტის 571.083 მონაწილედან ფაშისტების წინადადებას კონსტიტუციის შეცვლის შესახებ ხმა მისცა 414.741 კაცმა, წინააღმდეგ — 156.342 კაცმა. ესტონეთის პრესის ნაწილი პლებისციტის შედეგებს აფასებს, როგორც უნდობლობის გამოცხადებას ახლანდელი მთავრობისათვის და სახელმწიფო კრების (ესტონეთის პარლამენტი) უმრავლესობისათვის, რომელიც კონსტიტუციის შეცვლის პროექტის წინააღმდეგი იყო. ამის გამო, დღეს სახელმწიფო კრებაში ტენისონის მთავრობა გადადგა. ახალი მთავრობის შედგენა მიენდო ეინბუნდს (ადს).

# მოჭადრაკე მაესტროების ტურნირი

### მეხუთე ტური

მეხუთე ტურში საინტერესოთ ვითარდებოდა სავიცკი—სოროკინის პარტია. სოროკინი ლაზიერის პაიკის დებიუტში არჩევს ორთოდოქსალურ დაცვას, არ თამაშობს ზუსტად და მოწინააღმდეგეს შესაძლებლობას აძლევს განავითაროს ძლიერი იერიში მეფის ფრთაზე. მოგებულ მდგომარეობაში სავიცკი ატარებს არა სწორ კომბინაციას ცხენის შეწირვით და ეხლა თითონ უნდა წააგოს პარტია, მაგრამ მას ეხმარება სოროკინი რამოდენიმე მეტად სუსტი სვლების წყალობით კარგავს ორ ფიგურას და ნებდება.

გოგლიძემ თეთრებით მ. მაკაგონოვის წინააღმდეგ ინდური დაცვაში დებიუტში მიაღწია ზეიარ უპირატესობას, უკ როგორც გამოირკვა შემდგომ თამაშიდან, არ იყო საკმარისი მოგებისათვის და მეოცდაორე სვლაზე დათანხმდა ყაიმზე.

უფერული და ფრთხილი თამაშის შემდეგ კასპარიანი — ვ. მაკაგონოვის პარტია ყაიმით დამთავრდა.

დღეს შესდგება გადადებული პარტიების გათამაშება.

ხვალ, 22 ოქტომბერს შესდგება მეოთხე ტური. თამაშობენ მაკაგონოვი— ვ. სავიცკი, სოროკინი—ალატორცევი, ებრალიძე—გოგლიძე და მაკაგონოვი — მ. კასპარიანი.

## ხელოვნება

# თელავის სახელმწიფო თეატრი



მომავალ სეზონისათვის თელავის სახ. თეატრმა წინასწარი მოსამზადებელი მუშაობა დაიწყო დაგვიანებით, ა.-წ. 15 ოქტომბრიდან. სეზონის გახსნა განზრახულია ოქტომბრის რევოლუციის 16 წლის თავზე. სეზონის გახსნისათვის მზადდება ვ. კირშონის პიესა „სასამართლო“. პიესას სდგამს რეჟისორი ვახტანგ აბაშიძე, მხატვარი—კ. ჭანკვეტაძე, კომპოზიტორი ან. ბალანჩივაძე. პარალელურად მზადდება პ. სამსონიძის—„სალტე“, დადგმა გ. სულიაშვილის.

გასულ სეზონის რეპერტუარიდან განახლებული იქნება კ. კალაძის „ხატიჯე“, ვ. კირშონის—„ლიანდაგი გუგუნებს“ (დადგმა ვ. აბაშიძის) და გ. ბააზოვის—„მუნჯები ალაპარაკდენ“, (დადგმა გ. სულიაშვილის).

დასის შემადგენლობაში შედიან: კ. აბესაძე, მ. აბრამიშვილი, ს. ვარნაძე, კ. გოგიაშვილი, ს. ზაქარიაძე, ბ. ზაქარიაძე, ლ. კვალიშვილი, მ. ლეკიშვილი, ქ. მაჭავარიანი, დ. მელიქიშვილი, ა. მეწყულიშვილი, ნაპოლეონი, ევ. ოვანოვი, ვ. სალარიძე, უშ. სამხარაძე, ალ. სიხარულიძე, მ. ქორელი, ვ. ჩელიძე ...

# საქ. პროფკავშირთა საბჭოს განმარტება

... ციებს და ცალკე პირებს შეუძლიათ მიმართონ სათანადო კავშირებთან არსებულ შრომის ინსპექციებს კუთვნილებისამებრ.

საქ. პროფკავშირთა საბჭოს თავმჯდომ. მარე ნიორაძე

შრ. დაცვის განყოფილების გამგე კაპანაძე

# პარტიული და საბჭოთა კალენდარი

**დღეს, 1 საათზე** გარეუბნის რაიკომის კულტპროპში (ვაგზლის ქ. № 14) მოწვეულია თათბირი მუხრანის, ავჭალის და დიღომის სკოლების გამორკვევის შედეგების შესახებ. უნდა დაესწრონ: ამხ. ზარნაძე, ხუროძე, გრიგოლია, ჯალაღანია, (ტფ. განგანყ.), ძიძიგური. ბილიხოძე, ფაჩულია და დავითულიანი.

**22 ოქტომბერს, საღამოს 6 საათზე** გარეუბნის რაიკომში (ვაგზლის ქ. № 14) მოწვეულია პროპაგანდისტთა სემინარის მეცადინეობა. გამოწვეულია შემდეგი ამხანაგები: ქუთათელაძე, ძირტკბილაშვილი, ნახუცრიშვილი, თათარიშვილი, ქარქაშაძე, ჯელია, გრიგოლია, კვირიკაშვილი ბასილაძე, კარბაშვილი, ბიგანიშვილი, შარიქაძე, მურუსიძე, ნათაძე, ი. ჯიხვიშვილი, მახნიაშვილი (საქ. სას.-სამ. კომ. სკოლიდან), გუცაშვილი (კახიანის სახ. კოლმეურნეობიდან), ალადაშვილი (მახარაძის სახ. კოლმეურნეობიდან).

საქ. კ. პ. (ბ) ტფილისის კომიტეტში ამხ. ხოჯამიროვთან 22 ოქტომბერს 12-დან 3 საათამდე უნდა გამოცხადდენ ქვემოდ დასახელებული ამხანაგები: მიხეილ კლიაკანი, გალაქტიონ ჭელიძე, ალექსი ლომაძე, ყაზარ ყაზაროვი, გრიგოლ კვაჭილაძე, აფიკ ბაბაევი, ანტონ გულმიცკი, ივანე ნადირაშვილი, ალ. პიჩკოვსკი, ვასილ აკულაშვილი, მჭედლიშვილი, ქრისტეფორე ენუქიძე, მამალაძე, ბიკენტი ჭელბაქიანი, კალმახელიძე, გრიგოლ პიჩკოვი, ვასილ გოგილაშვილი, ვლ. ლიპანი, არტემ აკულიანი, ვიქტორ ნუცუბიძე, ვლად. ჭკუასელი, ხაჩატურ ოვანეზოვი, არკადი ალანოვი, პეტრე ნაჭყებია, ალისტრო ვადაჭკორია, გერასიმე ჭანკვეტაძე, მ. ხალაჯიშვილი, ნიკ. კუკუშკინი, გრიგოლ ჭელიძე, ხაჩატურ გრიგორიანი, ამბარცუმ აკოფოვი, ხედრაკ მანუკოვი, პარასკევა ქართველიშვილი, ვირმინე მირაზიანი, ნიკოლოზ გურამიშვილი, კონსტანტინე მერნერი.


| დღეს მე-12 აბონ. 2 წ. | 22 ოქტომბერს მე-10 აბონ. 2 წარმ. | 23 ოქტომბერს 1 აბონ. 2 წარ |
|---|---|---|
| პიქის ქალი | ჩიო-ჩიო-სან | 1. ჯამბაზები 2. სევილიელი დალაქი |

საბ. ოპერა. დაიწყო მე-4 მორიგი გადასახდ. მიღება ყველა აბონემენტებზე ის აბონენტები, რომელთაც თავისი წარმოდგენის დღის 2 საათამდე არ ექნებათ გადახდილი მესამე მორიგი გადასახდელი, კარგავენ სპექტაკლზე დასწრების უფლებას და მათი ადგილები გაიყიდება ცალობით. 451

| 22 ოქტომბერს 7 აბონ. 1 წარ. | 23 ოქტომბერს 2 აბონ. 1 წარ. | 24 ოქტომბერს 6 აბ. 1 წარ. |
|---|---|---|
| ქართა ქალაქი | ქართა ქალაქი | ქართა ქალაქი |

რუსთ. თეატრი სახელ. აკადემიური. ხელმძღვანელობით 1933—34 წ. მეორე გადასახადი სავალდებულოა. შეტანილი უნდა იქნას წარმოდგენის დღის 2 საათამდე. სალარო ღიაა 11—2. 6—9 საათამდე. დასაწყისი 8 საათზე. ნ. 405

| 21 ოქტომბერს 9 აბონ. 1 წარ. | 22 ოქტომბერს 2 აბონ. 1 წარ. | 23 ოქტომბერს 11 აბონ. 1 წარ. |
|---|---|---|
| ურიელ აკოსტა | მზის დაბნელება საქართ. | შიში |

მარჯანიშვილის სახელობის თეატრი. დასაწყისი საღამოს 8 საათზე. ბილეთები თეატრის სალაროში დილის 11 ს.—12 ს. საღამოს 6 ს.—10 ს. პირველი წარმოდგენაზე დასასწრებლად შემოტ. უნდა იქნეს მე-2 გადასახადი. ნ. 405

**სახკინმრეწვის კინო-თეატრები:**

| | |
|---|---|
| ეთერი 7-30 9, 10-30. | ისტ. მხ. ფილმი შინაურის ფრთები პრ. გარ. საბჭოთა საქ. № 14 |
| ოქტომბერი—დღისით სეან. 12, 1-30, 3 | სახკინ. ნაწარმ. მამის მკვლელი პრ გარ. საბჭოთა საქ. № 13 |
| ტემპი საღ. 7-30, 9-20, 11 ხამთრის 7, 8-45, 10-30 | სახლვ. ისტ. ფილმი ხალამბო პროგ. გარ. სოიუზკინოს ჟურ. № 24. |
| კომინტერნი (დიდუბე) 8, 10 | მხ. ფილ. მასხარა ჟორჟის ბენეფისი პრ. გარეში—სკჟ № 23 |
| ოქტომბერი 6, 7-30, 9. 10-30. | საზღვ. ფილმი ნიუ-იორკის ღოკებში პრ. გარ—სოიუზკინოს ჟურნ. № 19 |
| დამკვრელი 6, 7-30, 9, 10-30. | მხატვრული ფილმი ხაბა (ახ. ეკზ.) პრ. გარ.—კომკავშირული თაოსნობა |
| რ. ლიუქსემბურგის 6-30, 8, 9-30, 11 | ხმოვანი მხატვრ. ფილმი მოიჩ3 ნება რომელიც აღარ განმეორდება |
| სპარტაკი 6, 7-30, 9, 10-30 | ისტორიული მხატვრული ფილმი გულატ ბატირი |
| 26-ის სახელობის (ავლაბარში) | საზღვარგარეთული ფილმი კონტრაბანდისტები ჩილიში |
| მეცნიერება და ტექნიკა 5, 9-30 | საზღვარგარეთული საწარმოო ფილმი ნანუკი |
| საბავშვო კინო დღის 12 და 2 საათზე | მხატვრული საბავშვო ფილმი ლენინის მიხამართი |


# დადგენილება № 74

## საქართვ. მომარაგების სახ. კომისარიატის

15/X—1933 წლის. ქ. ტფილისი.

### 1934 წლის 1 კვარტალში მომარაგებაზე ასაყვან კონტიგენტებზე განაცხადების წარმოდგენის შესახებ.

წინადადება ეძლევა ყველა დაინტერესებულ სახკომატებს (მძიმე მრეწველობის, მსუბუქ მრეწველობის, სატყეო მრეწველობის, განათლების, სოციალურ უზრუნველყოფის, მიწადმოქმედების, ჯანმრთელობის) და სხვა სახელმწიფო, კოოპერატიული და საზოგადოებრივი ორგანიზაციებს, წარმოადგინონ საქართველოს მომარაგების სახალხო კომისარიატში განაცხადები პირველ კვარტალში 1934 წ. მომარაგებაზე ასაყვან კონტიგენტების შესახებ, ქვემოთ მოყვანილი ფორმების (ცალკე ქალაქის და ცალკე სოფლის) მიხედვით.

**ა. ქალაქის მომარაგება.** ფორმა № 1

| წარმოებათა დასახელება | რომელი სიით მარაგდება | რომელი სისტემა ამარაგებს (ო. რ. ს., ცეკავშირი საქვაჭ.) | ფაქტიურად გაცემული პურის ბარათები ოქტომბრის თვეში: ინდუსტრ. მუშები | მარაგდება ორ მუშები | სხვა მუშები | დამოკიდებულნი | სულ | პირველი კვარტალის 1934 წლ. განაცხადი საწარმოო გეგმის მიხედვით: ინდუსტრ. მუშები | მარაგდება ორ მუშები | სხვა მუშები | დამოკიდებულნი | სულ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | | | | | | | |

**დახურული დაწესებულებები.** ფორმა № 2

| დახურული დაწესებულების დასახელება | ვის სისტემაში შედის (განათლების კომისარიატი, ჯანმრთელობის კომისარიატი). | განაცხადი I კვარტ. | შენიშვნა |
|---|---|---|---|
| | | | |

**საბჭოთა მეურნეობისა და სამანქ.-სატრაქტ. სადგურის.** ფორმა № 4

| საბჭოთა მეურნეობის დასახელება და სისტემა | მუდმივი მუშები | მშენებლ. მუშები | დროებითი და სეზონური მუშები | ი. ტ. ძალები | მოსამსახურენი | მუშა-მოს. კმაყ. მყოფ. | სულ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | | |

ცნობები დადასტურებული უნდა იქნეს დაწესებულების ან წარმოების სამკუთხედისაგან. უკანასკნელი ვადა განაცხადების წარმოდგენისა დანიშნულია 31/X—33 წ. ის ორგანიზაციები და წარმოებები, რომელნიც დანიშნულ ვადაზე განაცხადებს არ წარმოადგენენ, საქართველოს მომარაგების სახალხო კომისარიატის მიერ აყვანილი იქნებიან მომარაგებაზე საქ. მომარაგების სახკომისარიატის შეხედულებისამებრ და არავითარი პრეტენზია შემდეგში განხილული აღარ იქნება.

ტფილისის მომარაგების განყოფილებას ევალება განაცხადი წარმოადგინოს მთელი ტფილისის კონტიგენტზე.

ნ. 417 საქ. მომარაგების სახალხო კომისარი ქუჩულორია.


# ორჯონიკიძის სახ. რაიკომმეურნეობის სადარაზო სექტორი აცხადებს

სავაჭრო-სამრეწველო და სასაწყობო სადგომების (დარაბების) მოიჯარადრე სახელმწიფო, კოოპერატიული და სხვა ორგანიზაციებისა და პირების საყურადღებოდ, რომ

**მ/წ. 20 ოქტომბრიდან 1-ლ ნოემბრამდე იწარმოებს დარაბების და მათი მოიჯარადრეების აღრიცხვა,**

რაც სავალდებულოა ყველა დამქირავებლებისათვის. აღრიცხვის გარეშე დარჩენილ დამქირავებლებს დარაბის იჯარის უფლება ჩამოერთმევათ.

აღრიცხვა იწარმოებს საღამოს 7-დან 10 საათამდე (ყოფ. ჰამამშევის ქარვასლა ოთახი № 20).

აღრიცხვაში გატარებისათვის საჭიროა დამქირავებელმა თან იქონიოს დაკავებულ დარაბების სია. ბანკის მიმდ. ანგ. № და რწმუნების ბარათი ხელშეკრულების გაფორმებისათვის.

ნ. 420 სადარაზო სექტორის გამგე შ. გელოვანი.

# საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის გამომცემლობა

**გამოვიდა და იყიდება**

პარტგამომცემლობის ყველა მაღაზიებსა და კიოსკებში

**შემდეგი პარტლიტერატურა ქართულ ენაზე:**

1. ვ. კარპინსკი—„საუბარი ლენინიზმის შესახებ“ ნაწ. I, სოფ. საკანდიდატო სკოლებისათვის.
2. ს ინგულოვი—„პოლიტცოდნა“ ნაწ. I, ქალ. პარტ. ქსელისათვის.

ნ. 425

ქ. ტ. ტყემელაშვილი განაახლა ავადმყოფების მიღება (ვენერიული და კანის). დილით 8—9, საღამოთი 7—8 საათ. ბელგიის ქ. № 1 (მთავარი ფოსტის ახლო). 1464

ექიმი ქალი ნინო მირიანაშვილი დაბრუნდა და განაახლა მიღება კანის და ვენერიული ავადმყ (სუსუნათი) მხოლოდ ქალების და ბავშვების. მიღება 5—7 ს. მოსკოვის ქ. № 9, ტელ. 4-93. 243


ბიცოლა ძიხადორა კაპასკირი შვილებით: ლიდია, ქენია მეუღლით ვერა, მავრა და ამბროსი კუხალაშვილი შვილებით, ვგლოვობთ საყვარელ **ქვაჩი გაგუნია-თაყაიშვილის** უდროოდ დაკარგვას დაკრძალვა ს. ბანძაში, 21 ოქტ. 422

სამტრედიის რაიჯანგანყოფილების და რენტგენო-ფიზიო თერაპეტიული განყოფილების ექიმები და თანამშრომლები უსაზღვრო მწუხარებას გამოსთქვამენ უახლოეს თანამშრომლის, იშვიათ ადამიანის, დაუღალავ მუშაკის **ევგენია გაგუნია-თაყაიშვილის** უდროოდ დაკარგვის გამო 412

დამწუხრებული მეუღლე ილიკო, დედამთილი ფოტინე, მული ჟოჟო ქერქაძეები იუწყებიან ძვირფას **ნინა კალანდაძე-ქერქაძისა** გარდაცვალებას. სამოქალაქო პანაშვიდი 21 22 ოქტ. საღამოს 6 საათზე ხრებტოვის ქ. № 21 (ნაძალადევი) დაკრძალვა 24 ოქტ. 1 ს. კუკიის სასაფლაოზე. 437

მეგობრები: ქ. ლომთათიძე, ნ. მითაიშვილი; ვ. კეჩხუაშვილი, თ. ელისაშვილი, კ. შანიძე, ქ. ისაკაძე, ლ. ფანცულაია, ო. შელია, ნ. ბერძნიშვილი ე. თვალიაშვილი, ზ. შიოლაშვილი მწუხარებით იუწყებიან ძვირფასი ამხანაგის, სახუნივერსიტეტის პედოლოგიური სექციის 4 კურსის სტ. **ლიდა აფხაზავას** უდროოდ გარდაცვალებას. 436

გულმოკლულნი: დედა ქეთო დოლაბერიძე, მამა ქრისტეფორე აუწყებენ საზოგადოებას საყვარელი შვილის **ზურაბ (ზურიკო) ანდღულაძის** უდროოდ დაკარგვას. სამოქალაქო პანაშვიდი დღეს, 7 ს. სადგურის ქ № 2 გამოსვენება 22 ოქტ. 4 ნახ. 4 ნახ. ს. კუკიის სასაფლაოზე 417

გულმოკლულნი: ბებია იულია, ბაბუა მელიტონი, ბიძები მიხეილი და ალექსანდრე, ბიცოლები: თამარი და ნინა, დეიდა სულიკო დოლაბერიძეები იუწყებიან საყვარელ **ზურიკოს** უდროოდ დაკარგვას. 435

ნინა და სოკრატ კეშელავები იზიარებენ უახლოესი მეგობრის ექიმ კოლია ანთელავას მწუხარებას მისი საყვარელი დედის **ბაბი ანთელავას** გარდაცვალების გამო. დასაფლავება 24 ოქტ. ქ. ზუგდიდში. 442

მარიამ პავლეს ასული მელაძისა ოჯახით ღრმა მწუხარებას გამოსთქვამენ ძვირფასი და დაუვიწყარი **სოფიო ჩხარტიშვილი-მახარაძის** გარდაცვალების გამო. 433

დამწუხრებული ცოლი ოლია შვილებით: ირაკლი და ელენე ქმრით იოჰამით იუწყებიან მათთვის საყვარელ **ვლადიმერ სიმონის-ძე უჩნაძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა სოფ. სამთავისში 22 ოქტომბერს. 440

ღრმად დამწუხრებულნი ძმები: იასონი და დათიკო ყუფარაძეები ცოლშვილით აუწყებენ ნათესავებს და მეგობრებს **ვასილ ალექსის-ძე ყუფარაძის** გარდაცვალებას. დასაფლავება ქ. სამტრედიაში 22 ოქტომბერს. 445

სამუდამოდ გულმოკლულნი: მამა ირაკლი, და ნინა. ძმა ვანო აფხაზავები იუწყებიან, რომ ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ დაჰკარგეს საყვარელი **ლიდა ირაკლის-ასული აფხაზავა** სამოქალაქო პანაშვიდი დღეს, 6 ს. ბელინსკის ქ. № 9, დაკრძალვა 22 ოქტ. 5 საათ. 446

შვილები: ექ. ვასილი, სერგო, სონა, ანიკო, რძლები: ანიჩკა, ვარა. სიძეები: დარჩო ამირბეგოვი, ადალო სომხიშვილი იუწყებიან საყვარელი დედის **ელისაბედ ესტატეს-ასული მჭედლიშვილის** გარდაცვალებას. გამოსვენება 21 ოქტ. 4 ნახ. ს. მიხეილის საავადმყ. პროზექტურიდან. კუკიის სასაფლაოზე. 438

უსაზღვროდ დამწუხრებული ქმარი რაჟდენი, შვილები: ოთარი, ბიძინა, დედამთილი ანეტა; რძალი მარო, მაზლები: ალექსანდრე, კაკო ვაჟო დასტირიან უძვირფასესს **გუგული (ვერა) კვანტალიანის** დაკარგვას. დაკრძალვა ქალ. სამტრედიაში კვირას, 22 ოქტ. 5 ს. 452

ქ. სამტრედიის და მისი რაიონის ექიმთა საზოგადოება ღრმა მწუხარებას გამოსთქვამს ამავე საზოგადოების წევრის ექიმ ალექსანდრე (კოკოლა) თაყაიშვილის ძვირფასი მეუღლის **ევგენია მიხეილის ასული თაყაიშვილის** უდროოდ გარდაცვალების გამო 411

გაუბედურებული მეუღლე ლიზა, და ოლია ქმარშვილით, ძმა სილიბისტრო ცოლშვილით, სიდედრი ნინა, ცოლისდები: ნადია, ოლია, ცუცუნა, ცოლისძმა სოსო იუწყებიან **პლატონ ექვთიმეს ძე თარგამაძის** გარდაცვალებას. დასაფლავება 24 ოქტ. ს. ნიგორზღვაში (საჯევახო) 451

ელისაბედ კონსტანტინეს-ასული კლდიაშვილისა. კატო ქმრით მირიახით აცნობებენ ნათესავთ და ნაცნობთ პირველის შვილის, მეორეს დისწულის და მესამეს მამის **დავით კლდიაშვილის** უდროოდ გარდაცვალებას. 443

ტფილისის საბავშვო კლინიკის თანამშრომელი ექიმები მწუხარებას გამოსთქვამენ ამავე კლინიკის ექიმ ვასო მჭედლოვის დედის **ელისაბედ მჭედლოვის** გარდაცვალების გამო. 452

საქართველოს კვანძის ელგადამცემი ხაზების და ქვესადგურების დირექციის ადგილკომი ამით აუწყებს საზოგადოებას ამავე დაწესებულების ეკონომისტ **პლატონ თარგამაძის** გარდაცვალებას. გამოსვენება წითელი ჯვრის საავადმყოფოდან 21 ოქტომბერს, საღ. 5 ს. 447

ღრმად დამწუხრებულნი: ცოლი ალისო შვილებით: მიშა, სერგო, საშა, შუშანა, ნადია, ანიჩკა, სიძე ვლადიმერ გაბუნია იუწყებიან დაუვიწყარ **ვასილ ალექსის-ძე ყუფარაძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა ქ. სამტრედიაში 22 ოქტომბერს. 445

დამწუხრებულნი: მეუღლე სათენიკა, ძმა იოსები ცოლით სირანუშათი, საშა მატინოვი იუწყებიან დაუვიწყარ **ალექსანდრე გიორგის-ძე დავიდოვის** გარდაცვალებას. სამოქალაქო პანაშვიდი 21 ოქტომბერს 6 ს. გამოსვენება 22 ოქტომბერს, 4 ს. არლოვის ჩიხი № 4, ხოჯევანქის სასაფლაოზე. 439

პატარა **ირაკლი (იკუნი) შურღაიას** დაკარგვას იუწყებიან მშობლები: ქეთო, დავითი, და ციალიკო, დიდედა სონა, დიდედა ბაბუცა, ბაბუა მიხეილი, დეიდები: თამარი, ხათელა მურვანიშვილები, სიძე მიხეილ ჯიბუტი მეუღლით ნინოთი. 444

დამწუხრებულნი: მეუღლე ვარდენ (გუდუ) შვილებით: კოლია, გრიშა, თამარა, კიკუ და დოფია, რძლები: გაგა და ია, შვილიშვილები იუწყებიან საყვარელ **ბაბილინა ნესტორის ას. ანთელავას** გარდაცვალებას. დაკრძალვა ქ. ზუგდიდში 24 ოქტომბერს. 448

დამწუხრებული მეუღლე კოტე ბაგრატიონი შვილებით: თამარა, ჯანსოლ, მანანა, ნატაშა მწუხარებით იუწყებიან. რომ გარდაიცვალა მათთვის დაუვიწყარი **ოლა გიორგის ას. ბაგრატიონი** სამოქალაქო პანაშვიდი 6 ს. ფასანაურის შეს. № 16. ყოველდღე. გამოსვენება 23 ოქტომბერს 4 ნახ. ს. 455

ღრმად დამწუხრებულნი შვილები: თამარა და კიკუ სიძეები: არსენ ქავთარაძე, და კოსტია არშბა შვილებით იუწყებიან დაუვიწყარი დედის **ბაბილინა (ბაბი) ანთელავას** გარდაცვალებას. დაკრძალვა ზუგდიდში 24 ოქტ 443

ინდუსტრიალური ინსტიტუტის ქიმიური ფაკულტეტის მე-2 კურსის სტუდენტები იზიარებენ ამხ. ლიზას მწუხარებას მისი მამის **პეტრე შურღაიას** გარდაცვალების გამო. 449

სამუდამოდ გაუბედურებულნი მეუღლე გალაქტიონ, დედა ერბუხტი, დაი ვადასი იუწყებიან, რომ დღეს ტფილისში, ხინოშკილის ქ. № 42. საღამოს 6 ს. დანიშნულია სამოქალაქო პანაშვიდი დაუვიწყარ და საყვარელ **შურა ნადირაძე-ხუჭუასი**

„ტამბა „კომუნისტი“. ყაზბეგის ქ. 6ა. მთავლიტის რწმუნებული ა 1483